ეროვნული უნივერსიტეტი

85

4 ივლისი, ოთხშაბათი, 2012 წ. №9

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

CERN-ის გენერალური დირექტორი თსუ-ში

გვ. 8

მეტი კონტროლი, დისციპლინა და მოტივაცია

გვ. 4



გაბრწყინებული მეცნიერება — „გალაკტიონოლოგია“

გვ. 10

საერთაშორისო სამეცნიერო კვირეული საქართველოში — გვ. 3

ბიზნეს ოლიმპიადა 2012 — გვ. 5

შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებლებთან — გვ. 7

რესტავრირებული წიგნების გამოფენა თსუ-ის ბიბლიოთეკაში — გვ. 10

ბრძანება — გვ. 2

პროგრამის — „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილეები დაჯილდოვდნენ

29 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამის — „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ 140 მოხალისე მასწავლებელს სერტიფიკატები გადასცეს.

მე-3 გვერდზე

1 ივლისიდან სტუდენტური ფასდაკლების ბარათები ამოქმედდა

2012 წლის 1 ივლისიდან სტუდენტური ფასდაკლების ბარათი — „გაიმარტივე ცხოვრება“ ძალაში შევიდა. ბარათს სტუდენტები იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებში მიიღებენ. პროექტი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით ხორციელდება. ფასდაკლების ბარათით სარგებლობა ყველა ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს შეუძლია.

ფასდაკლების ბარათის მეშვეობით, სტუდენტები სხვადასხვა სახის ფასდაკლებით ისარგებლებენ სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო კომპანიებში, ტრანსპორტით მგზავრობისას (რკინიგზა, მეტრო, ავტობუსი), ინტერნეტითა და მობილური ტელეფონებით სარგებლობისას, კომპიუტერული ტექნიკის შეძენისას, კულტურულ და გასართობ (კინო, თეატრი, მუზეუმები, წიგნის მაღაზიები და სხვა) ცენტრებში, კვების ობიექტებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში, ასევე სხვადასხვა ტიპის სავაჭრო დაწესებულებებსა და კომპანიებში.

სტუდენტური ბარათის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებგვერდზე www.studentcard.ge

ფილმების სერია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებზე

ლექციაზე და ლექციის მიღმა

ნინო გელოვანი

ნატო ოგოლაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების სტუდენტები თსუ-ის 15 ყველაზე გამორჩეულ პროფესორ-მასწავლებელზე დოკუმენტური ფილმების სერიას იღებენ. მომავალი რეჟისორების კინო-ობიექტივში მოხვდნენ ვახტანგ ლიჩელი, მარიკა ლორთქიფანიძე, რისმაგ გორდეზიანი, გიული ალასანია, ოთარ ჯაფარიძე, ქეთი გაბუნია, ლალი ქეცბა, ნინო ჩიქოვანი, მერაბ კოკოჩაშვილი, ელგუჯა ხინთიბიძე, მანანა რუსეიშვილი, ჯემალ შარაშენიძე, ცირა ბარამიძე, თენგიზ კიკაჩეიშვილი და აპოლონ სილაგაძე. დოკუმენტურ ფილმებში აისახება პროფესორების ლექციები და მათი ცხოვრება ლექციებს მიღმა.

თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლების შესახებ დოკუმენტური ფილმების გადაღების იდეა გასული წლის ნოემბერში რეჟისორ ნინო გელოვანის ლექციაზე გაჩნდა. ინიციატივა IV კურსის სტუდენტებმა მარიამ გოთუამ და ზურაბ მახარაშვილმა წამოაყენეს. ნინო გელოვანის დახმარებით კი დაიწერა პროექტი „უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სალექციო კურსის კვალდაკვალ“. გადაღებები უკვე დაწყებულია.

მე-3 გვერდზე

55 წლის „სამედიცინო გაზეთი“ კვლავაც თანამედროვეა

მაია ტორაძე

სულ ცოტა ხნის წინ ჩვენი რედაქციისთვის ერთი სასიამოვნო ფაქტი გახდა ცნობილი — სამედიცინო უნივერსიტეტის გაზეთს დაარსებიდან 55 წელი შეუსრულდა. გამომდინარე იქიდან, რომ წელს „თბილისის უნივერსიტეტიც“ იუბილარია და დაარსებიდან 85 წელი უსრულდება, სურვილი გაგვიჩნდა, უფრო ახლოს გაგვეცნო „სამედიცინო გაზეთი“ და დღესასწაულის მისალოცად მათ რედაქციაში ვეწვიეთ.

გარემო ზუსტად ისეთი დაგვხვდა, როგორიც ჩვენთანაა — გაშლილი გაზეთები, სასწავლო დაწესებულების ბეჭდური გამოცემისთვის დამახასიათებელი აკადემიური სიმშვიდე, კეთილგანწყობა და... ოთხი მომღიმარი ქალბატონი, რომელიც უკვე 30 წელზე მეტია მედიცინის სფეროს სიახლეებისა და სტუდენტური ცხოვრების თანამედროვე ისტორიას ქმნის.

მე-12 გვერდზე

ბრძანება

№77/01-01 19.06.2012

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ და „ს“ ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის პირველი პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, ა(ა)იპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 31 მაისის №29/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა)იპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დ. თვალთვაძის 2012 წლის 18 ივნისის №14439/02 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის სრულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის 19 ივნისს, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 20 ივლისიდან 2012 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2012 წლის 7 სექტემბრისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ძველი მსოფლიოს ისტორიის მიმართულების პროფესორის სამსახურში მისაღებად;

5. სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი;

ზ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

6. საკონკურსო დოკუმენტების მიიღება 2012 წლის 20 ივლისიდან 2012 წლის 27 ივლისის ჩათვლით, 9^{30}-დან 18^{00} საათამდე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ I კორპუსი, II სართული, ოთახი №211;

7. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში;“

9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი
ალექსანდრე კვიტაშვილი

ბრძანება

№79/01-01 19.06.2012

ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ს“ ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, ა(ა)იპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 31 მაისის №29/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2012 წლის 15 ივნისის №14465/02 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;

4. ჟურნალისტიკის მიმართულებაზე პირის (ასისტენტ-პროფესორი) კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

5. კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის 19 ივნისს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 20 ივლისიდან 2012 წლის 3 აგვისტომდე, საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2012 წლის 10 სექტემბრისა;

6. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებებით:

ჟურნალისტიკა
ასოცირებული პროფესორი — 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი — 4 საშტატო ერთეული
ფსიქოლოგია
ასისტენტ პროფესორი — 12 საშტატო ერთეული
პოლიტიკური მეცნიერება
ასისტენტ პროფესორი — 2 საშტატო ერთეული
საზოგადოებრივი გეოგრაფია
ასისტენტ პროფესორი — 4 საშტატო ერთეული
სოციოლოგია
ასოცირებული პროფესორი — 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი — 3 საშტატო ერთეული
სოციალური მუშაობა
ასისტენტ პროფესორი — 4 საშტატო ერთეული

7. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი;

ზ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

8. ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი უმაღლესი განათლების ან/და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამოტივაციო წერილი.

9. საკონკურსო დოკუმენტების მიიღება 2012 წლის 20 ივლისიდან 2012 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით, 9^{30}-დან 18^{00} საათამდე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №8 (VI კორპუსი) ოთახი №202;

10. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

11. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“;

12. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **ალექსანდრე კვიტაშვილი**

სასურველია, უკეთ გავიცნოთ ქართული ემიგრაციის მუზეუმი

1994 წლის ოქტომბერში საქართველოში ყოველთა ქართველთა პირველი ფორუმი შედგა. მრავალი ემიგრანტი ეწვია სამშობლოს, ბევრი მათგანი პირველად. ფრიად ამაღელვებელი, ემოციებით სავსე რვა დღე გაატარეს მათ ქართულ გარემოში. მოიარეს თითქმის მთელი საქართველო. და მაინც, შეიძლება ითქვას, მათ აღფრთოვანებასა და გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლადგახსნილ ქართული ემიგრაციის მუზეუმს ეწვივნენ.

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი ცნობილი ქართველი რეჟისორი ბატონი რეზო ჩხეიძე იყო და არის, ხოლო თანაპრეზიდენტი – აწ განსვენებული ბატონი გურამ შარაძე – მეცნიერი, მკვლევარი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბატონი გურამი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად 1981 წლიდან მისთვის ჩვეული აკადემიზმით იკვლევდა ქართული ემიგრაციის ცხოვრებას, მოღვაწეობას, ქართულ ემიგრანტულ კულტურას, რაც, რასაკვირველია, დიდი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. მან, შეიძლება ითქვას, ფურცელ-ფურცელ შეაგროვა და საქართველოში ჩამოიტანა მათი ნაშრომ-ნაღვაწი, თოთხმეტი წლის მანძილზე იცავდა საკუთარ სახლში, იკვლევდა და არაერთი მონოგრაფია და წიგნი მიუძღვნა მათ სამეცნიერო, პოლიტიკურ თუ კულტურულ მოღვაწეობას, მათ ხსოვნას. გურამ შარაძემ დააარსა ქართული ემიგრაციის მუზეუმი და უცხოეთიდან არქივების ჩამოტანა შემდეგაც არ შეუწყვეტია. როგორც ბატონმა ოთარ პატარიძემ – დიდი ქართული ემიგრანტული ოჯახის შთამომავალმა ბრძანა ახლახანს ჩვენს მუზეუმში სტუმრობისას: „გურამ შარაძემ მხოლოდ თქვენ კი არა, ჩვენც, ემიგრანტებს, ბევრი რამ გვასწავლა და გვამცნო ჩვენს თავზე“-ო.

ეს საგანძური გურამ შარაძემ პირველ ქართულ უნივერსიტეტში დაავანა. აქ იპოვა ლტოლვილმა ქართულმა სულმა სიმშვიდე და სწორედ ამ უნიკალურმა ექსპოზიციამ აღაფრთოვანა 1994 წლის ოქტომბრის დღეებში ქართველი ემიგრანტები. დღესაც, ყოველ მომსვლელს – სტუდენტი იქნება იგი, პროფესორი თუ უცხოელი ტურისტი – აღაფრთოვანებს მუზეუმში დაცული და ექსპონირებული მასალა.

ჩვენი უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“-ს 2012 წლის 14 ივნისის №8-ში გამოქვეყნებულ წერილში — „ერის განუყოფელი ნაწილი საფრანგეთში“ ქართული ემიგრაციის მუზეუმის დირექტორად სხვა არასაუნივერსიტეტო მუზეუმის ხელმძღვანელია მოხსენიებული. ყოველმა ქართველმა თუ არა, ყოველმა უნივერსიტეტელმა ნამდვილად უნდა იცოდეს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს შვიდი მუზეუმი: უნივერსიტეტის ისტორიის, მინერალოგიის, ზოოლოგიის, არქეოლოგიის, გეოგრაფიის, პალეონტოლოგიის და ქართული ემიგრაციის.

მუზეუმები გაერთიანებულია და დირექტორი არის ქალბატონი მაია გურაბანიძე, უშუალოდ მუზეუმებს კი უფროსი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ.

თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმს არაერთი გამოფენა გაუმართავს უნივერსიტეტის სივრცეში, არაერთ ტელე და რადიო გადაცემაში მიუღია მონაწილეობა, არაერთი სტუდენტის, მეცნიერისა და დაინტერესებული პირისათვის უმასპინძლია და კვლავაც გააგრძელებს თავის საქმიანობას. კარგი იქნება, თუ თქვენც გვეწვევით და გაეცნობით, უფრო მეტიც, დაინტერესდებით ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებითა და მოღვაწეობით — ისინი ხომ ღირსეული მამულიშვილები, საქართველოს ელჩები იყვნენ მთელს მსოფლიოში.

რუსუდან კოგანიძე
თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის
უფროსი სპეციალისტი

პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილეები დაჯილდოვდნენ

პირველი გვერდიდან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროგრამას „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ 2011 წლიდან ახორციელებს. პროექტი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებაზეა ორიენტირებული და მისი ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში ქართულენოვანი პედაგოგების წარგზავნაა. პროგრამის ფარგლებში არაქართულენოვანი სკოლებისთვის ასევე დაინერგა ქართული ენის ახალი სახელმძღვანელოები.

სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ არაქართულენოვან სკოლებში ქართულ ენაში ჩატარებული ეროვნული შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ არაქართულენოვან სკოლებში ქართულენოვანი მოხალისეების ჩართვა და ქართული ენის ახალი სახელმძღვანელოს დანერგვა განათლების რეფორმის ერთერთი წარმატებული კომპონენტია.

პროგრამაში „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე 300-ზე მეტი მასწავლებლიდან დღეს ის პირველი 140 მოხალისე პედაგოგი დაჯილდოვდა, რომელებიც ერთი აკადემიური წლის მანძილზე იმყოფებოდნენ და წარმატებით ასწავლიდნენ ქართულ ენას ეთნიკურ უმცირესობებს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებში.

მოხალისე მასწავლებლები ადგილობრივ ოჯახში ცხოვრობდნენ და ქართულის გაკვეთილებთან ერთად სკოლის მოსწავლეები ჩართული ჰყავდათ არაფორმალურ განათლებაშიც, შექმნილი ჰქონდათ კლუბები, ხოლო ოჯახში თანაცხოვრების დროს ოჯახის წევრებს ქართული ენის სწავლაში ეხმარებოდნენ. დღეს, სწორედ ამ მასწავლებლებს გადაეცათ სერტიფიკატები. დანარჩენი მოხალისეები მუშაობას ახალი სასწავლო წლიდან გააგრძელებენ და მათ მოხალისეთა ახალი ნაკადი შეუერთდება.

პროგრამაში მონაწილეობა ბაკალავრის ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს შეუძლია, რომლისთვისაც ქართული ენა მშობლიურია. არაქართულენოვან სკოლაში ერთი აკადემიური წლის მუშაობის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით აფინანსებს. ამავდროულად, მონაწილეებს პროგრამაში ჩართვა პედაგოგად მუშაობის სტაჟში ეთვლებათ, შესაბამისად, საშუალება აქვთ სკოლაში მასწავლებლებად განაგრძონ მუშაობა და სერტიფიცირების გამოცდა ჩააბარონ.

საერთაშორისო სამეცნიერო კვირეული საქართველოში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი ჩართულია ევროგაერთიანების პროგრამის TEMPUS-ის სხვადასხვა საინტერესო პროექტების განხორციელებაში.

ახლახან მედიცინის ფაკულტეტმა უმასპინძლა TEMPUS-ის პროექტში (511303-JPCR) „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სოციალური სერვისები“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტების დელეგაციებს.

„პროექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების შესახებ ახალი სამაგისტრო პროგრამის მომზადებას; ახალი სამაგისტრო პროგრამა, რომელზეც ჩვენი ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი ინტენსიურად მუშაობს, მაგისტრანტებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის ცოდნას და პროფესიულ უნარ-ჩვევებს შესძენს, რაც მათ დასაქმებას მნიშვნელოვნად გააიოლებს“, — განაცხადა მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ალექსანდრე ცისკარიძემ.

„თსუ-ს წარმომადგენლობითი დელეგაციები ეწვია: კუმბრიის უნივერსიტეტიდან (გაერთიანებული სამეფო), ბაბეშ ბოიას უნივერსიტეტიდან (რუმინეთი), სამეფო ტექნიკური უნივერსიტეტიდან (KTH, შვედეთი), ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან (სომხეთი), კიშინოვის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და სახელმწიფო სამედიცინო და ფარმაცევტული უნივერსიტეტიდან (მოლდავეთი). აქაურ პროფესორ-მასწავლებლებს დიდი გამოცდილება აქვთ ჯანდაცვის სფეროში ახალგაზრდა კადრების მომზადების მიმართულებით. საქართველდან პროექტში ჩართულია, ასევე, საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა. საქმიანი შეხვედრების დროს დეტალურად განიხილეს სასწავლო პროგრამები და სწავლების ის მეთოდები, რომელიც სასწავლო პროცესში მაგისტრანტის მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს“, — აღნიშნა ფაკულტეტის განათლების ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა ნინო ჩიხლაძემ.

„საერთაშორისო კვირეული მეტად დატვირთული გრაფიკით გაიმართა 26 ივნისს. მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა თსუ-ში ჩაატარეს სემინარები სამაგისტრო პროგრამების მეორე და მეოთხე სემესტრის სტუდენტებისთვის და სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისათვის. მინდა აღვნიშნო, რომ სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ ახალგაზრდა დოქტორანტმა ნატო ფიცხელაურმა თავისი სადოქტორო ნაშრომი თემაზე: „სამედიცინო მომსახურების ხარისხის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნატა ყაზახაშვილი) წარადგინა და ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია“, — აღნიშნა თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა, სამაგისტო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ ხელმძღვანელმა ნატა ყაზახაშვილმა.

27 ივნისს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სოციალური სერვისები: განათლება და პრაქტიკა“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი, შვედეთის უმაღლესი განათლების ხარისხის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები. სამეცნიერო სექციებს უხელმძღვანელეს პროფესორებმა ვინსენტ ო'ბრაიანმა, ლენარტ იოჰანსონმა, რაზვან ჩერეჩესმა, მარია ბულგარუმ, არტაშეს თადევოსიანმა, ვალერიუ ჩისუმ, ნატა ყაზახაშვილმა და ოთარ ვასაძემ.

ვიზიტის ბოლო დღეს დაიგეგმა მომავალ წელს განსახორციელებელი სამუშაოები, მათ შორის სტუდენტებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა, საზაფხულო სკოლის სასწავლო პროგრამის მომზადება, ახალი სახელმძღვანელოების შეძენა და სხვ.

ფილმების სერია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებზე

ლექციაზე და ლექციის მიღმა

პირველი გვერდიდან

„ფილმები მხატვრული ინსტალირების ხერხით აეწყობა. გამოვიყენებთ საარქივო მასალასაც. ავსახავთ, თუ როგორ გაიარეს ამ ადამიანებმა გზა თბილისის უნივერსიტეტამდე. ამ პროექტს ისტორიული მნიშვნელობა აქვს. გავა წლები და ნებისმიერ დაინტერესებულ სტუდენტს შეეძლება ნახოს, როგორ კითხულობდა ლექციას, მაგალითად, ვახტანგ ლიჩელი, მარიკა ლორთქიფანიძე და ა.შ. მათი ლექციები ხომ ხელოვნებაა, არტისტიზმია, პლასტიკაა... პროექტს IV კურსელები აკეთებენ. ჩვენ ერთად რამდენიმე პროექტზე ვიმუშავეთ, ეს მათთვის კიდევ ერთი შანსია, რომ მომავალშიც წარმატებით განაგრძონ მუშაობა.

მადლობა მინდა გადავუხადო თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დავით ჩომახიძეს, მის თანაშემწეს გიორგი გაფრინდაშვილს, რადგან მათი დახმარების გარეშე ამ პროექტს ვერ განვახორციელებდით“, — განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა, კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების ლექტორმა ნინო გელოვანმა.

პროექტში კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების IV კურსის 10 სტუდენტი იღებს მონაწილეობას: მაკა მალაშხია, თამთა ხარხელაური, თამთა იობაია, ზურაბ მახარაშვილი, მარიამ გოთუა, მარიამ პერტია, ანანო შენგელია, მადონა გოცაძე, სოფო გობრონიძე და ცოტნე წერეთელი.

„ფილმს ამჟამად არქეოლოგიის მიმართულების პროფესორის, ვახტანგ ლიჩელის შესახებ ვაკეთებთ. მისი სალექციო კურსი უკვე გადაღებული გვაქვს. ფილმის მეორე ნანილისთვის კი საველე სამუშაოებზე წავალთ. ეს იქნება ექსკლუზიური მასალა ვარძიაში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შესახებ. ამ პროექტის განხორციელება მასში ჩართული თითოეული სტუდენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა პროექტის იდეის ავტორმა მარიამ გოთუამ.

დოკუმენტური ფილმების გადაღებისას ავტორებს ასისტენტობას I კურსის სტუდენტები გაუწევენ, რომელთაც პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ჯერ არ ჰქონიათ. პროექტში ჩართულია 6 პირველკურსელი: თამუნა შველიძე, იოსებ ჩაჩხიანი, მარიამ მენთეშაშვილი, ელენე წიქარიშვილი, ანა ნოზაძე და იზი თითბერიძე.

„ფილმების გადაღების პროცესში მონაწილეობა ჩემთვის მნიშვნელოვანია. ვითანამშრომლებ IV კურსელებთან ერთად, რომლებმაც ჩემზე ბევრად მეტი იციან და უფრო მეტი გამოცდილებაც აქვთ. ვისწავლი

კამერასთან მუშაობას, კადრის ინტერიერში აღებას და ა.შ.“, — გვითხრა იზი თითბერიძემ.

პროექტი „უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სალექციო კურსის კვალდაკვალ“ თავის ისტორიულ ღირებულებასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მას ის სტუდენტები აკეთებენ, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღიზარდნენ. ფილმების მონტაჟს კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების IV კურსის სტუდენტი სოფო გობრონიძე უხელმძღვანელებს. გადაღებებს მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული, ოპერატორი გიორგი ბოგვერაძე აწარმოებს.

„კადრის სწორი კომპოზიცია ზოგადად ფილმის ხარისხს და წარმატებას განაპირობებს. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ, რომ კადრი კარგად იყოს აწყობილი და რამე ხარვეზი არ გაიპაროს. იმედია, ეს 15 ფილმი, რომელიც ახლა მზადდება, წარმატებული იქნება“, — აღნიშნა გიორგი ბოგვერაძემ.

თსუ-ის ყველაზე გამორჩეული 15 პროფესორ-მასწავლებლის შესახებ დოკუმენტური ფილმების გადაღება 27 ივლისს სრულდება.

მეტი კონტროლი, დისციპლინა და მოტივაცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სემესტრული გამოცდები დაიწყო. საგნების იმ ნაწილს, რომელიც პრაქტიკას ან სპეციფიკურ ლაბორატორიულ სამუშაოს არ ითვალისწინებს, სტუდენტები ცენტრალიზებული წესით აბარებენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გამოცდების ამ ფორმით ჩატარების შესახებ ბრძანება 2007 წლის 5 იანვარს გამოსცა. ამ ბრძანების საფუძველზე საქართველოს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგამოცდო ცენტრი ატარებს შუალედურ, დასკვნით და დამატებით გამოცდებს წერილობითი ფორმით.

მაია ტორაძე

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საგამოცდო ცენტრი ცენტრალიზებულ გამოცდებს ბაკალავრიატში უკვე 4 წელია ატარებს. დებულების მიხედვით, ამავე წესით უნდა ჩატარდეს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის გამოცდებიც, მაგრამ სემესტრული გამოცდების ერთობლივი ჩატარების უზრუნველყოფა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, რადგან ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სემესტრი ერთდროულად მთავრდება, ხოლო თსუ-ის ბიბლიოთეკას საკმარისი ფართი არ გააჩნია გამოცდების ჩასატარებლად.

გამოცდების წერილობითი ფორმით და ცენტრალიზებული წესით ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება საგამოცდო პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიიღეს. თავდაპირველად ამ გადაწყვეტილებას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ რამდენიმე წლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ ფორმამ გაამართლა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი მაია ჩიღვინაძე აცხადებს, რომ ასეთი ტიპის საგამოცდო სისტემის შემოღებამ პროფესორ-მასწავლებლებს ბევრი ტექნიკური პრობლემა მოუხსნა. მათ მხოლოდ საგამოცდო ბილეთების ცენტრში გადაგზავნა ევალებათ და აღარ უწევთ ქსეროასლების გადაღება ან აუდიტორიების ძებნა გამოცდის ჩასატარებლად. ყველა ტექნიკურ პრობლემას საგამოცდო ცენტრი აგვარებს. ამასთან, მოხსნილია სუბიექტური ფაქტორები — სტუდენტი აღარ განიცდის ე. წ. ფსიქოლოგიურ ზეწოლას, განთავისუფლებულია ლექტორის პირისპირ ჯდომის კომპლექსისგან. ეს მოდელი სტუდენტს ცოდნის მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას აძლევს.

„ამ სისტემის მიხედვით გამორიცხულია, რომ ერთი სტუდენტიც კი არაობიექტურად შეფასდეს. ლექტორთან შესაფასებლად სტუდენტის დაშიფრული ნაშრომი მიდის. მან არ იცის, ვის ნაშრომს ასწორებს და დაცულია სხვა პირისგან თუნდაც ერთი ქულის მომატების თხოვნით. გამოცდაზე მაქსიმალურადაა შეზღუდული გადაწერის შესაძლებლობა და ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენება. სტატისტიკა აჩვენებს, რომ თუ ცენტრალიზებული გამოცდების დანერგვის პირველ ეტაპზე გამოცდიდან დაახლოებით 20 სტუდენტი იხსნებოდა, ახლა ეს ციფრი საგრძნობლად შემცირდა“, — განაცხადა მაია ჩიღვინაძემ.

ცენტრალიზებული წესით გამოცდის ჩატარება სტუდენტებისთვის უკვე მისაღები ფორმაა, რადგანაც ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ ამ წესით დაცულია ობიექტურობა და იმ ქულას იღებენ, რაც რეალურად ეკუთვნით. მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ლიკა ფაილოძე სწორედ ამ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას: „მომწონს რომ გამოცდები ცენტრალიზებულად ტარდება. ყველაფერი მოწესრიგებულია. ქულები ობიექტურად იწერება“, - ამბობს იგი.

ასეთივე განწყობა აქვთ იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს ანა ქურციკიძეს და ამავე ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს გიგა ტყემალაძეს. მათ ჩვენთან საუბარში აღნიშნეს ის მთავარი დადებითი ფაქტორები, რაც ცენტრალიზებული წესით გამოცდის ჩაბარებას მოჰყვება: მეტი კონტროლი, დისციპლინა და სტუდენტებისთვის დამატებითი მოტივაცია — სერიოზულად მოემზადონ სემესტრული გამოცდებისთვის.

გამოცდების ცენტრალიზებული სისტემა თანდათან იხვეწება. ცენტრის თანამშრომლები სემესტრიდან სემესტრამდე ითვალისწინებდნენ ყველა იმ შენიშვნას, რომელიც სტუდენტებს უჩნდებოდათ გამოცდების მიმდინარეობის პროცესში. ამ შენიშვნების გათვალისწინებით, გამოცდების პროცესი უფრო ორგანიზებული გახდა და შეიქმნა კომფორტული პირობები ცოდნის მაქსიმალურად გამოვლენისთვის.

მიუხედავად ამისა, მცირე შენიშვნები მაინც გამოითქმის და ჩვენ შევეცადეთ, მათზეც გაგვეცა პასუხი. კერძოდ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების II კურსის სტუდენტმა მარიამ ბაინდურაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სტუდენტებს ზოგჯერ გამოცდების დამკვირვებლებთან აქვთ პრეტენზია. ასევე არ მოსწონს ის, რომ გამოცდაზე შეშვების წინ სტუდენტებს ლოდინი უწევთ. „უკეთესი იქნება გამოცდები ჩვენს კორპუსებში გვიტარდებოდეს და მას ჩვენს ლექტორებს ვაბარებდეთ“, — აღნიშნა მან.

მაია ჩიღვინაძე

თსუ-ის საგამოცდო ცენტრის უფროსმა მაია ჩიღვინაძემ მარიამ ბაინდურაშვილის შენიშვნის თაობაზე განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარება ადვილად შეიძლება: „ყოველი გამოცდის წინა დღეს სტუდენტს შეუძლია თსუ-ის საიტზე ნახოს თავისი სექტორი და ადგილი, რომელზეც უნდა დაჯდეს გამოცდის ჩაბარების წინ. ამ შემთხვევაში მას არ მოუწევს შემოსვლისთვის რიგში დგომა. რაც შეეხება დამკვირვებელს, არც ერთი მათგანის იდეაფიქსი არ არის სტუდენტის მოხსნა გამოცდიდან. თუ სტუდენტი არ ლაპარაკობს და გამომწვევად არ იქცევა, მერწმუნეთ, მათ არც ერთი დამკვირვებელი შენიშვნას არ მისცემს“, — აღნიშნა ქალბატონმა მაიამ.

გამოცდების ფორმა მოსწონს და მისი ორგანიზებულობაც მისაღებია იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტ თამარ ლისიაკისთვის. თუმცა მას შენიშვნები აქვს ქულების გასაჩივრების სისტემასთან: „არ გვაქვს შესაძლებლობა, ვნახოთ, რატომ დაგვიწერეს ესა თუ ის ნიშანი. ლექტორსაც ვერ ვაწვდენთ ხმას, რომ ავხსნათ, რატომ გვეკუთვნის უფრო მაღალი ქულა. ასევე, არ შეგვიძლია, მაგალითად, სურათი გადავუღოთ ჩვენს ნაწერს, რომ გასაჩივრების დროს აღვიდგინოთ, რა გვეწერა. რთულია ყველაფერი დაიმახსოვრო, როდესაც გამოცდაზე 9-10 გვერდს წერ“.

ქალბატონ მაია ჩიღვინაძის განმარტებით, აპელაცია არ არის გაძნელებული პროცესი. „ჩვენ ყველა ნაშრომს ვაგზავნით პედაგოგთან და თუ მას რაიმე ცვლილება შეაქვს საგამოცდო ნაშრომში, ის სტუდენტის ბაზაში ფიქსირდება. რაც შეეხება მობილურით სურათის გადაღებას, არც ესაა საჭირო, რადგან ვინც აპელაციის შემდეგ თხოვნით მოგვმართავს, მას ნაშრომს ქსეროასლის სახით ვაძლევთ. ამასთან, ყველა საგნის პედაგოგს შეუძლია მოითხოვოს ნაწერები და პრობლემები სტუდენტებთან ერთად განიხილოს“, — აღნიშნა მან.

რაც შეეხება შენიშვნას, რომ გამოცდის შეფასებები დროულად არ იდება ბაზებში, მაია ჩიღვინაძის განცხადებით, ეს შენიშვნა საგამოცდო ცენტრს არ ეკუთვნის, რადგანაც ისინი შეფასებებს მათი მიწოდებისთანავე ათავსებენ სტუდენტთა ბაზებში. „ჩვენ ვაწარმოებთ აღრიცხვას და შეგვიძლია ნებისმიერ მსურველს ვაჩვენოთ, როდის შემოვიდა გასწორებული ნაშრომი და როდის შევიდა ბაზაში ნიშანი. თუ პედაგოგი დათქმულ დროს (5 დღის ვადაში) მოიტანს გასწორებულ ნაშრომს, სტუდენტიც დროულად გაიგებს ნიშანს“, - აღნიშნა მან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსის თქმით, სტუდენტთა ამ შენიშვნებში საგანგაშო არაფერია, რადგანაც ცენტრალიზებული გამოცდების სისტემის დახვეწის პროცესი დღესაც მიმდინარეობს და ყველაფერი კეთდება, რომ სტუდენტს ცოდნის გამოვლენის მაქსიმალური შესაძლებლობა მიეცეს. მთავარია, სტუდენტთა უმრავლესობისთვის ეს ფორმა მისაღები და მოსაწონია.

საუკეთესო ლიდერი, კომუნიკატორი და ეკოლოგი

თამარ დადიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების აქტიური მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ბაზაზე, რომლის ხელმძღვანელია პროფესორი ჟანა თოლორდავა, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ეკოლოგიურ-ეკონომიკურ პრობლემებზე სასწავლო იმიტაციური მოდელის — „მედიტერანეა"-ს პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის დეპარტამენტების ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

განათლებაში მიმდინარე რეფორმების შესაბამისად, რაც სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას გულისხმობს, გამოყენებულ იქნა იმიტაცია საქმიანი თამაშის სახით. იმიტაციაში – თსუ-ის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტები ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების წარმომადგენლების როლს თამაშობდნენ, რომლებიც ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ეკოლოგიურ პრობლემებს. თამაშში ისევე, როგორც რეალურ ცხოვრებაში, განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნები ინტენსიურად აბინძურებდნენ ზღვას სხვადასხვა ნარჩენების საშუალებით. ღონისძიებაზე ასევე განიხილებოდა ტურისტული ბიზნესის თანმხლები პრობლემა, რაც სავალალო ეკოლოგიურ მდგომარეობას უკავშირდება.

ყველა ეს პრობლემა დროულად გადასაწყვეტია. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, ვინაიდან ზღვის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. თამაში კონკორდატული ტიპის იყო, სადაც იტალიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, ალჟირის, ისრაელის და თურქეთის წარმომადგენლები ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად მოლაპარაკება-რაუნდზე სხვადასხვა სახის შეთანხმება-ხელშეკრულებებზე თანხმდებოდნენ. თუმცა, როგორც რეალობაში, ეს შეთანხმებები ირღვევოდა და ქვეყნები გარემოს დაბინძურებაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ.

„ასეთი იმიტაციის სქემა აიძულებს მოთამაშეებს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს, ღრმად შეისწავლონ სხვადასხვა ქვეყნების ეკოლოგიური მდგომარეობა. თამაშის მონაწილეებს სჭირდებათ სამხილი მასალა დადანაშაულებისათვის, რისთვისაც ისინი ყველა მონაწილე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, მრეწველობის, სოფლისა და კომუნალური მეურნეობების განვითარების დონესა და დაბინძურების შესაძლო კერებსა და მიზეზებს სწავლობენ.

საბოლოოდ ქვეყნები კონსესუსამდე მიდიან, ვინაიდან ყველა ხვდება იმას, რომ ზღვის დაბინძურების დონე პიკს აღწევს და იგი 8 ქვეყნისათვის საშიშ პრობლემას ქმნის: ხმელთაშუა ზღვის გამოყენება როგორც სატრანსპტო გზის სახით, ასევე ტურისტული ბიზნესის თვალსაზრისით, თევზჭერისა და სხვა მიზნებისთვის უსარგებლო ხდება. დასახულ ამოცანას სტუდენტებმა თავი წარმატებულად გაართვეს. მათ მომზადების მაღალი დონე და სწორი გადაწყვეტილებების მიღების საუცხოო უნარი აჩვენეს,"— განაცხადა პროფესორმა ჟანა თოლორდავამ.

სტუდენტებმა, ანუ მოთამაშეებმა ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის იმიტაციისათვის ინფორმაციული მატრიცა გამოიყენეს, სადაც წყლის მდგომარეობა ინდიკატორით ფიქსირდებოდა, ეს ინდიკატორი კი მოთამაშეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით იცვლებოდა. დროის ეკონომიის მიზნით, თამაშში სტუდენტებმა ბარათების სისტემა გამოიყენეს. წითელი ბარათით გაუწმენდავი, ჩამდინარე წყლის ჩაშვება და სანაპირო ზოლის დაბინძურება განისაზღვრებოდა. მწვანე ბარათით ჩამდინარე წყლის გაწმენდა და სანაპირო ზოლის დასუფთავება, ყვითელი ბარათი ზღვის დამაბინძურებლების მიმართ საჯარიმო სანქციების განხორციელებას მოასწავებდა და ლურჯი ბარათი კი გამწმენდი ნაგებობების მოდერნიზაციასა და ინოვაციების დანერგვის აუცილებლობას.

მოთამაშეებმა საკმაოდ ინტერაქტიული და საინტერესო თამაში „აჩვენეს", საკითხის ღრმა ცოდნა და კარგი ანალიზის უნარი გამოამჟღავნეს, რითაც კომპეტენტური ჟიურისა და მოწვეული სტუმრების მაღალი შეფასება დაიმსახურეს. თსუ-ის რექტორმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა სტუდენტების მომზადების დონით და ხაზი გაუსვა საქმიანი თამაშების მეთოდის მნიშვნელობას, რაც საჭირო უნარ-ჩვევებს უვითარებს სტუდენტებს და ცოდნის მიღებისა და განმტკიცების ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს. ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა .აკაკი ხელაძემ დადებითად შეაფასა სტუდენტების საქმიანობა და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები დააჯილდოვა: I – საუკეთესო ლიდერი, II – საუკეთესო კომუნიკატორი, III საუკეთესო ეკოლოგი.

ნომინაციაში „საუკეთესო ლიდერი" გაიმარჯვა იტალიის გუნდმა (მოთამაშეები: ლაშა თაკალანძე; თეონა ჯინჭველაძე); „საუკეთესო კომუნიკატორი" გახდა ისრაელის გუნდი (მოთამაშები: ზურაბ კინწურაშვილი; მანანა ზუკაკიშვილი), ხოლო „საუკეთესო ეკოლოგის" ტიტული წილად ერგო ალჟირის გუნდს (მოთამაშეები: ლევან კოდუა; ნინო ანთელავა).

ბიზნეს ოლიმპიადა 2012

თამარ დადიანი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე განხორციელებული სტუდენტური პროექტი — „თსუ ბიზნეს ოლიმპიადა 2012“ მიზნად ისახავს სტუდენტების ჩართვას ეკონომიკის სხვადასხვა დარგების კვლევაში და ამ გზით მათი ცოდნის დონის ამაღლებას, ასევე, ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენასა და წახალისებას. პროექტი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის და ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბის ორგანიზებით განხორციელდა. პროექტის მხარდამჭერი გახლდათ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ხოლო უშუალო ინიციატორი — ფაკულტეტთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბი“.

პროექტი მესამე წელია, რაც ტარდება და იგი სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის პოპულარობით სარგებლობს. მნიშვნელოვანი იყო პროექტისთვის თემატიკის შერჩევა, რაშიც სტუდენტებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესურა დაეხმარა. აქტუალური თემატიკა შეირჩა სხვადასხვა დარგის მიხედვით: განათლება; სოფლის მეურნეობა; ტურიზმი; ენერგეტიკა; ინფრასტრუქტურა; მრეწველობა; მედია; გარემოს დაცვა; ჯანდაცვა.

„ბიზნეს ოლიმპიადა 2012“-ში მონაწილეობის მისაღებად 26 გუნდი დარეგისტრირდა. ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: თსუ-ის სრული პროფესორები: ეთერ ხარაიშვილი; სიმონ გელაშვილი; ასოცირებული პროფესორები: დავით ნარმანია, მიხეილ ჩიკვილაძე, ეკა ლეკაშვილი, ნინო პაპაჩაშვილი; თსუ-ის კანცლერის თანაშემწე გიორგი გაფრინდაშვილი; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე ვალერი არღუთაშვილი, II ტურში შეარჩია 13 გუნდი, ხოლო III ეტაპზე მხოლოდ 6 გუნდი გადავიდა. მათ უნდა წარმოედგინათ არჩეული თემის პრეზენტაცია, დარგის SWOT ანალიზი, PESTEL ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები. გუნდმა „Geo-nuts“, წარმოადგინა თემა „თხილის კულტურის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში (თემის ხელმძღვანელი: პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი, გუნდის წევრები: ლაშა არევაძე, მარიამ ქუთელია, ირაკლი გაბრიაძე, გიგა კუჭუხიძე); „ოქროს საწმისი“-ს საკვლევი თემა იყო „მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (თემის ხელმძღვანელი: პროფესორი მარინა ნაცვალაძე, გუნდის წევრები: თინათინ მეძმარიაშვილი, ნიკა ზაქარეიშვილი, ნინო ლობჟანიძე, მარიკა შანთაძე, ლევან ფანგანი); გუნდმა „ტურისტები“ არჩევანი „ეკოტურიზმის განვითარებაზე“ შეაჩერა. (თემის ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ფარესაშვილი; გუნდის წევრები: თორნიკე ნაცვლიშვილი, მარიამ ლოლაშვილი, ბაჩანა შენგელია, ნინო კაპატაძე, ნანა ანთიძე); საქართველოში ბიომეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელა გუნდმა „ბიოლიდერი“ (თემის ხელმძღვანელი: პროფესორი: ეთერ სარჯველაძე, გუნდის წევრები: ირაკლი ბარბაქაძე, აკაკი ლიქოკელი, ანა ბურდული, მაია გიორგაძე, ანა გორგოძე); ქარის ენერგიის გამოყენების ეფექტურობაზე ისაუბრეს „სხვა გუნდი“-ს წარმომადგენლებმა (თემის ხელმძღვანელი: ვასილ კიკუტაძე, გუნდის წევრები: თეონა კონტრიძე, თამარ გელაშვილი, ნინო კუხიანიძე, ზაზა გრიგალაშვილი, დავით ჟორჟოლიანი); ხოლო ჯანმრთელობის დაზღვევის შუქ-

ჩრდილებზე საინტერესო რეფერატი წარმოადგინა გუნდმა „Aflac“-ი, (თემის ხელმძღვანელი: პროფესორი ვასილ კიკუტაძე, წევრები: გიორგი მელივაძე, გიორგი ბერეჩიკიძე, ნათია მალაყმაძე, ნინო თევდორაძე, ანი ხუციშვილი).

18 ივნისს ჟიურიმ „თსუ ბიზნეს-ოლიმპიადა 2012“-ის გამარჯვებულად დაასახელა გუნდი „ტურისტი“. მათი თემა დეტალურად განიხილავდა ეკოტურიზმის შესაძლებლობებს, მის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასევე, საფრთხეებსა და იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ გარემოს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებას.

„კაცობრიობა თავისი საქმიანობით ნელ-ნელა აქრობს ბუნებრივ რესურსებს, ანაგვიანებს გარემოს, ანუ ქმნის ეკოლოგიურ პრობლემებს. ამ ტენდენციის ფონზე, მსოფლიო მასშტაბით წინა პლანზე წამოიწია ეკოლოგიურმა საკითხებმა, გამოიკვეთა ტურიზმის ახალი მიმართულება — ეკოტურიზმი.

ეკოტურიზმის კუთხით საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია. მისი განვითარება განსაკუთრებით შესაძლებელია დაცულ ტერიტორიებსა და ნაკრძალებზე. საქართველოს ამ კუთხით მეტი უპირატესობა და შესაძლებლობები გააჩნია, რაც დაწვრილებით განვიხილეთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ თემაში“, — განაცხადა გამარჯვებული გუნდის კაპიტანმა თორნიკე ნაცვლიშვილმა.

„ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერთ სტუდენტურ იდეებს. საკმაოდ დიდი იყო სტუდენტების ინტერესი, ეს ერთერთი ყველაზე მასშტაბური პროექტია ჩვენს ფაკულტეტზე. მინდა, მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც მხარში გვიდგას და ჩვენთან ერთად ზრუნავს სასწავლო პროცესის უფრო ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვისთვის“, — განაცხადა „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბი“-ს პრეზიდენტმა გიორგი დევიძემ.

„უნივერსიტეტში რეფორმების გატარების შემდეგ სტუდენტების სწავლების დონემ საგრძნობლად მოიმატა. აუცილებელია კვლევების განხორციელება და წარმოებასთან კავშირების კიდევ უფრო განმტკიცება. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რომ ბიზნეს ოლიმპიადას დიდი როლის შესრულება შეუძლია. სტუდენტებმა თემატიკა აქტუალური პრობლემების მიხედვით შეარჩიეს და კონკრეტული კომპანიების მაგალითზე კვლევები წარმოადგინეს. სწორედ ეს არის ბიზნეს ოლიმპიადის დიდი მიღწევა. ამით სტუდენტებმა თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ცოდნად გარდაქმნა შეძლეს და დაამყარეს ის კავშირები, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტისა და კომერციული, კერძო ბიზნეს ორგანიზაციების თანამშრომლობას,“ — აღნიშნა პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა.

გამარჯვებული გუნდის წევრმა მარიამ ლოლაშვილმა ჟიურის მუშაობა დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ შექებას ყველა გუნდი იმსახურებდა: „ოლიმპიადამ საკუთარი ცოდნის რეალიზების საშუალება მოგვცა. ავიღეთ თემა, რომლის პოპულარიზაციით ვიყავით დაინტერესებულნი. გამარჯვებამ უფრო მეტი ცოდნის შეძენის მოტივაცია გაგვიჩინა და ამიტომ ამ თემაზე მუშაობის გაგრძელებას მომავალშიც ვაპირებთ“, — აღნიშნა მან.

„თსუ-ის ბიზნეს-ოლიმპიადა 2012“ წარმატებით დასრულდა. გამარჯვებულებს და ფინალისტებს გადაეცათ სერტიფიკატები, ხოლო გამარჯვებულ გუნდს თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ გადასცა ფულადი ჯილდო 1000 ლარი. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების ყველა წევრს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა წიგნები უსახსოვრა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ფინალისტები ანაკლიაში ერთკვირიანი საგზურით დააჯილდოვა.

დაჯილდოებას სოფლის მეურნეობის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროების, ტურიზმის დეპარტამენტის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ეკონომიკური ფორუმის“ და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის — „ელკანას“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„მისია 2012“

ნატო ოგოლაძე

სტუდენტური კონკურსი „მისია 2012“ დასრულდა. კონკურსში, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ჩაის კომპანია „გეოპლანტთან“ ერთად ატარებდა, 3 საუკეთესო გუნდი გამოვლინდა. საპრიზო ფონდი 5000 ლარი შესაბამისად გადანაწილდა — გამარჯვებულ გუნდს „PR Partner“ ჯილდოდ 2500 ლარი ერგო, II ადგილზე გასულს — „სტრატეგია-2012“-ს — 1500 ლარი, III ადგილის მფლობელ გუნდს „Imagination Station“ კი 1000 ლარი გადაეცა. კონკურსის ჟიურის არჩევანის გაკეთება 6 ფინალისტ გუნდს შორის მოუწია, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში კომპანია „გეოპლანტის“ ვირტუალური მარკეტინგისა და პიარის მენეჯერები იყვნენ და ფინალურ დავალებას — ჩაის ქართული ბრენდის — „გურიელი ხილის ჩაის“ ერთი წლის საკომუნიკაციო სტრატეგიას ქმნიდნენ. ჟიურის შემადგენლობაში თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, კომპანია „გეოპლანტის“ გენერალური დირექტორი მიხეილ ჭკუასელი, ასევე, წარმატებული მარკეტოლოგები, ფინანსისტები, სოციოლოგები და პიარის წარმომადგენლები შედიოდნენ. ფინალისტებმა კომპანია „გეოპლანტის“ ბრენდის „გურიელი ხილის ჩაის“ ერთი წლის საკომუნიკაციო სტრატეგიების პრეზენტაცია თსუ-ში 15 ივნისს წარმოადგინეს.

„ასეთი სახის პროექტში მონაწილეობის მიღება ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მუშაობის პროცესში ძირითადად ყურადღება არა მარკეტინგზე, არამედ კრეატიულ იდეებზე გავამახვილეთ, ვინაიდან არ ვართ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენლები. თსუ-ის ყველა სტუდენტს ვურჩევ, ამ პროექტში მონაწილეობას“, — გვითხრა გუნდის „PR Partner“ წევრმა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ნინო ასაჯანიშვილმა.

„ბევრი იდეა გვქონდა, რომელთა მორგებასაც მოცემული დავალებისთვის ვცდილობდით. ვთვლით, რომ დამსახურებულად მივიღეთ ეს პრიზი. ძალიან დიდი მადლობა კონკურსის ორგანიზატორებს“, — აღნიშნა გუნდის „ PR Partner“ წევრმა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტმა ნინო ცხადაძემ.

კონკურსის „მისია 2012“ ფინალისტებისთვის დავალების გამარტივების მიზნით, უნივერსიტეტმა და კომპანიამ ერთობლივი სემინარები მოუწყო. კომპანია „გეოპლანტის“ გენერალურმა დირექტორმა მიხეილ ჭკუასელმა ფინალისტ 6 გუნდს კომპანიის განვითარების ისტორია, მიმდინარე სიახლეები და აქტივობები გააცნო. სემინარებზე კომპანიის გაყიდვების მენეჯერმა პრეზენტაციაც მოაწყო, რომლის დროსაც „გეოპლანტის“ გაყიდვების სტრატეგია და განხორციელების გზები განიხილეს. კომპანიის საქმიანობის უკეთ გაცნობის მიზნით კომპანიამ ფინალისტები რაჭაშიც მიიწვია, სადაც ხილის ჩაის მწარმოებელი ქარხანა მოინახულეს, რომელიც კომპანია „გეოპლანტს“ ხილის ჩაის ნედლეულს აწვდის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე კი კონკურსანტებს პროექტების წერისა და მართვის შესახებ ესაუბრა. გუნდის წევრებმა უნივერსიტეტის წარმომად-

გენლებთან ფინალური ნაშრომის მომზადებისთვის საჭირო ინდივიდუალური კონსულტაციებიც გაიარეს.

„ჩვენ მოვუსმინეთ ფინალისტი გუნდების მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციებს. ყველა მათგანი საინტერესო იყო. ყველას ჰქონდა კრეატიული, ინოვაციური მიგნებები და საკმაოდ გაგვიჭირდა გამარჯვებულების შერჩევა. მთლიანობაში კონკურსმა გაამართლა“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის „მისია 2012“ ჟიურის წევრებმა ფინალისტების მიერ წარმოდგენილი „გურიელი ხილის ჩაის“ ერთი წლის საკომუნიკაციო სტრატეგიების პრეზენტაციები დადებითად შეაფასეს, გარკვეული შენიშვნებიც გამოთქვეს. მათი განცხადებით, ყველა პროექტში სტრატეგიის ნაწილი მცირე დოზით იყო წარმოდგენილი და ყურადღება, ძირითადად, სარეკლამო კამპანიაზე ჰქონდათ გამახვილებული.

„ეს პროექტი კარგი წამოწყებაა. სტუდენტებს საშუალება მივეცით, რეალურ კომპანიასთან და რეალურ პროდუქტთან ჰქონოდათ შეხება. ეს გარკვეული პასუხისმგებლობაც იყო მათთვის, რადგან უნდა მოეწოდებინათ მარკეტინგული, საბიუჯეტო, ფინანსური წინადადებები. სამწუხაროდ, მათ პრეზენტაციებში სტრატეგიის ნაწილი ძალიან მცირე იყო, ძირითადი აქცენტი სარეკლამო კამპანიაზე, საკომუნიკაციო არხების გამოყენებაზე, პრომო-აქტივობებზე გააკეთეს, მაგრამ ეს დიდი პრობლემა არ არის. გამიკვირდებოდა, ყველაფერი ძალიან დეტალურად რომ ყოფილიყო ჩამოწერილი. ისინი სტუდენტები არიან და სწორედ ახლა სწავლობენ ამ ყველაფერს“, — აღნიშნა კომპანია „გეოპლანტის“ გენერალურმა დირექტორმა მიხეილ ჭკუასელმა.

სტუდენტურ კონკურსში „მისია 2012“ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიაზე მიხეილ ჭკუასელმა ფინალისტებს კიდევ ერთ კონკურსში მონაწილეობა შესთავაზა. 6-ვე გუნდის „გამა“, „Hi5“, „PR Partner“, „Imagination Station“, „სტრატეგია-2012“ და „ორიენტირი“ წევრებს ჩაი „გურიელის“ ვებ-გვერდის პროექტის გაკეთება დაევალათ.

სტუდენტურმა კონკურსმა „მისიამ“ უკვე ტრადიციული ხასიათი მიიღო და, შესაბამისად, მისი გამართვა 2013 წელსაც იგეგმება. თუმცა, ამჯერად, თსუ-ის პარტნიორი სხვა კომპანია იქნება. კონკურსანტები ახალ იდეებს უკვე ახალი ბრენდისთვის შექმნიან.

ვიზიტი გერმანიაში

მეწარმეობის დამაარსებელთა სერვის-ცენტრის შექმნის ინიციატივა

თამარ დადიანი

ნაყოფიერი გამოდგა თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის წარმომადგენლებისთვის საქმიანი ვიზიტი გერმანიაში, რომელიც 27 მაისიდან 1 ივნისამდე გაგრძელდა. ინსტიტუტის 5 წარმომადგენელი: დირექტორი, პროფესორი რევაზ გველესიანი, დირექტორის მოადგილეები, პროფესორები ეკა ლეკაშვილი და ეთერ ხარაიშვილი, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი და დოქტორანტი გიორგი გაფრინდაშვილი 5 დღის განმავლობაში სხვადასხვა გერმანული ინსტიტუტებისა თუ სამეცნიერო წრის წარმომადგენლებს შეხვდა.

ქართული დელეგაციის წარმომადგენლები შეუთანხმდნენ გერმანიის მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის – საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების გერმანული ინსტიტუტის პროფესორს ჰალბახს, რის საფუძველზეც განხორციელდება ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და ეკონომიკის მიმართულების მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის გაიმართება ლექციების ინტენსიური კურსი. ასევე, ნაყოფიერი იყო შეხვედრა ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის მეწარმეობისა და ინოვაციური მენეჯმენტის მიმართულების ხელმძღვანელთან, პროფესორ იან კრატცერთან. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივ სამეცნიერო და სასწავლო გაცვლით პროგრამებს განახორციელებენ. აქვე წამოიჭრა ინიციატივა, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ფარგლებში, მეწარმეობის დამაარსებელთა (დამწყებ მეწარმეთა) სერვის-ცენტრი შეიქმნას.

„ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს ვოლფგანგ ვენგს შევუთანხმდით, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმი „თბილისის ბალკონი 3“ ოქტომბრის ბოლოს გაიმართება, რომელიც მიეძღვნება მეწარმეობის დაარსებისა და განვითარების პრობლემებს საქართველოში. გარდა ამისა, პროფესორი ვენგი მეწარმეობის პრობლემებზე ლექციების ინტენსიურ კურსს წაუკითხავს ეკონომიკის მიმართულების მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფორუმზე ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანიის ბაზრის ლიდერის „Tea Campaign“-ის ხელმძღვანელი გიუნტერ ფალთინი მთავარი მომხსენებელი იქნება. მან თანხმობა განაცხადა, რომ მისი ავტორობით გამოცემული ნაშრომი „Kopf schlaegt Kapital“ ქართულ ენაზე ითარგმნოს. ფორუმის მთავარი მომხსენებელი იქნება, ასევე, გერმანიის ეროვნული (2010 წ.) და ევროკავშირის (2011 წ.) სამეცნიერო პრემიების ლაურეატი, მეწარმეობის სოციალური იმპაქტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნორბერტ კუნცი. დამეთანხმებით, რომ ასეთი ავტორიტეტების ვიზიტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდ დაინტერესებასა და საერთაშორისო რეზონანსს გამოიწვევს“, — განაცხადა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რევაზ გველესიანმა.

მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ მომავალ წელს ბათუმში გაიმართება სამუშაო სემინარი თემაზე — „კრიზისის პრევენციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პოტსდამის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორი სებასტიან დრუვაკი, ექსპერტი, დოქტორი მაიკ დუდი და კონსულტანტი აურელიო შრისი.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი უკვე რამდენიმე წელია აქტიურად თანამშრომლობს გერმანულ მხარესთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთობლივ სამეცნიერო და სასწავლო პროექტებს, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, ლექცია-სემინარებს მართავს. მისი ინიციატივითა და ორგანიზებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხშირად სტუმრობენ მსოფლიო ეკონომიკური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ქართველი მეცნიერები პერიოდულად მიემგზავრებიან გერმანიაში და ახორციელებენ ერთობლივ სასწავლო და სამეცნიერო პროექტებს.

ამასთან, 2012 წლის 4-5 ივნისს ქართულ-გერმანული ინსტიტუტის წევრები პროფესორები რევაზ გველესიანი, ეთერ ხარაიშვილი და ეკა ლეკაშვილი პროფესორ მარინა ნაცვალაძესთან და დოქტორანტ ნინო ბერაიასთან ერთად მიწვეულნი იყვნენ სოფლის მეურნეობის და გამოყენებითი ეკონომიკის იტალიური ასოციაციის პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე (First Conference of the Italian Association of Agricultural and Applied Economics (AIEAA)) ქალაქ ტრენტოში. კონფერენციაზე მათ მონაწილეობა მიიღეს პოსტერების სესიაში. პროფესორებმა რევაზ გველესიანმა და ეკა ლეკაშვილმა წარადგინეს სამეცნიერო კვლევის შედეგები თემაზე: „სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა საქართველოში“, ხოლო პროფესორებმა ეთერ ხარაიშვილმა, მარინა ნაცვალაძემ და დოქოტორანტმა ნინო ბერაიამ — „საქართველოში ბიო-წარმოების განვითარებაზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები“. პრეზენტაციებმა კონფერენციის მონაწილეთა მოწონება დაიმსახურა.

კონფერენციის ქართველი მონაწილეები სოფლის მეურნეობის და გამოყენებითი ეკონომიკის იტალიური ასოციაციის წევრები გახდნენ.

სტუდენტური ტრენინგები

თამარ დადიანი

Business Soft Group-მა და „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბმა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს 11 ივნისიდან 16 ივნისამდე საინტერესო ტრენინგი შესთავაზა თემაზე: „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები“.

პირველი ეტაპი სტუდენტებისთვის უფასო იყო. ტრენინგის პირველი ტური წარმოადგენდა ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლის საბაზისო კურსს კიბერუსაფრთხოების, ვებ პროგრამების და სისტემური პროგრამირების მიმართულებით.

ტრენინგის პირველ დღეს სტუდენტებმა მოისმინეს თსუ-ის პროფესორის დემურ სიჭინავას ლექცია თემაზე: „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები“. პროფესორმა ისაუბრა ვირტუალური რეალობის, ნანომედიცინის, ნანოელექტრონიკის, ნანოენერგეტიკის განვითარების ეტაპებსა და შესაძლებლობებზე. მომხსენებელმა თორნიკე ბუნიათიშვილმა სტუდენტებს გააცნო კიბერუსაფრთხოების პროგრამები, ისაუბრა სოციალურ ინჟინერიაზე, პროგრამული დაცვისა და უსაფრთხოების ტექნოლოგიებზე, ასევე, კრიპტოგრაფიის მეცნიერებაზე. „ვებ პროგრამირება“ იყო ზვიად ქვილითაიას ტრენინგის თემა, რომელმაც სტუდენტებს ვებ ტექნოლოგიების ისტორია, ვებ გვერდის ტიპები და სახეობები, ვებ პროგრამირების ენები და ვები-ს პროგრამული გარემოს მართვის საშუალებები წარმოუდგინა. სტუდენტებმა მოისმინეს კახა წულაიას ლექცია თემაზე: „სისტემური პროგრამირება“.

პირველი ტურის დასრულების შემდეგ პროექტში მონაწილე სტუდენტთა ტესტირება ჩატარდა, რომლის საფუძველზე გამოვლინდა 3 საუკეთესო მსმენელი. მათ უფლება მიეცათ ტრენინგების II ტური ტესტირების და საფასურის გარეშე გაიარონ. სტუდენტები, რომელთაც გადალახეს ტესტირების 60 პროცენტიანი ბარიერი, მეორე ტურში უგამოცდოდ მიიღებენ მონაწილეობას. ხოლო, III ტურის ბოლოს გამოვლენილი საუკეთესო მსმენელები სტაჟირებას გაივლიან Business Soft Group-ში, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. „ტესტირების შედეგად საკმაოდ მაღალი შედეგები მივიღეთ. თავიდან ცოტა გვეშინოდა, როგორ მიიღებდნენ სტუდენტები ჩვენს შემოთავაზებას, ან როგორ იაქტიურებდნენ. პროექტში მონაწილეობის სურვილი თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის 240 სტუდენტმა გამოთქვა, მათგან 53 შეირჩა, ხოლო ტესტირება 49 სტუდენტმა გაიარა. მესამე ადგილის გამოსავლენად დამატებითი ტესტირებაც კი დაგვჭირდა, რაც საკმაოდ კარგი შედეგია.

ტრენინგზე წარმოდგენილი თემები განსხვავებული იყო ერთმანეთისგან როგორც შინაარსით, ისე პრობლემატიკით. მუშაობით კმაყოფილები დავრჩით ჩვენც და სტუდენტებიც“, — განაცხადა Business Soft Group-ის დირექტორმა გულადი ნაკაშიძემ.

16 ივნისს პროექტის ყველა მონაწილემ ტესტირება გაიარა. ქულების დაჯამების შედეგად გამოვლინდა გამარჯვებულები: პირველი ადგილი ერგო თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს მარიამ ძაგოევს, რომელმაც ქულების მაქსიმალური რაოდენობა — 36 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე, 35 ქულით, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი მიხეილ გახუტელაშვილი გავიდა, მესამე ადგილი კი წილად ხვდა იმავე ფაკულტეტის I კურსის სტუდენტს სოფიო ჩიქვინიძეს.

„ტრენინგებზე ბევრი ისეთი საინტერესო მოვლენა და ფაქტი გავიგე, რაც აქამდე არ ვიცოდი. Business Soft Group-ის წარმომადგენლებმა მარტივად მოახერხეს ისეთი ინფორმაციის მოწოდება, რომელიც თავისი შინაარსით რთული და რთულად გასაგებია. ტრენინგები მაღალი დონე იყო ორგანიზებული, აღინიშნებოდა თემატიკის მრავალფეროვნება და მომხსენებლების პროფესიონალიზმი. მადლობა პროექტის ორგანიზატორებს ასეთი საინტერესო ტრენინგების ორგანიზებისათვის“, — გვითხრა გამარჯვებულმა მარიამ ძაგოევმა.

Business Soft Group-ის დამფუძნებელმა გიორგი ბუნიათიშვილმა მადლობა გადაუხადა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს ბატონ აკაკი ხელაძეს, „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბის“ პრეზიდენტს ბატონ გიორგი დევიძეს, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს ვასილ გუბაძეს, თსუ-ის ადმინისტრაციას თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის და აღნიშნა რომ: „Business Soft Group-ი საქართველოში არის კომპიუტერული პროგრამების მწარმოებელი და პროვაიდერი კომპანია, რომელიც თავის მომხმარებელს ბიზნესის განვითარების და მისი ეფექტურობის ამაღლების მიზნით თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას, დამზადებასა და დანერგვას სთავაზობს. ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. ახალი კადრების მოძიების მიზნით ეტაპობრივად ვატარებთ ტრენინგებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით. სტუდენტებს საშუალებას ვაძლევთ სტაჟირება ჩვენს ორგანიზაციაში გაიარონ შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. იმედი მაქვს, ჩვენი ტრენინგები სტუდენტების მეტ დაინტერესებას გამოიწვევს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით და დაეხმარება მათ არა მარტო პროფესიულ, არამედ კარიერულ ზრდაშიც“.

ტრენინგის აქტიური მხარდამჭერი იყო აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობა.

„ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ IV გამოშვება

თამარ დადიანი

„ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ IV გამოშვება იზეიმეს 19 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროექტის კოორდინატორმა, პროფესორმა მარი უკლებამ და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა შეძლეს ასეულობით მოსწავლის დაინტერესება ეკონომიკით და ამ სფეროში მიმდინარე პროცესებით. მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ პროექტის მიმართ და ყოველ შაბათს, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე ნორჩ ეკონომისტთა სკოლისთვის განკუთვნილ აუდიტორიაში იკრიბებიან, სადაც პოპულარულ ენაზე ისმენენ საინტერესო ლექციებს ეკონომიკურ საკითხებზე.

„თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედ „ნორჩ ეკონომისტთა სკოლას“ უკვე ოთხი წელია, რაც ვხელმძღვანელობ. წარმატებული მუშაობის სტიმულს ფაკულტეტის ხელმძღვანელობისა და პროფესორების თანადგომა და ხელშეწყობა მაძლევს. ამისათვის მადლობა მინდა გადავუხადო ყველა პროფესორს და, განსაკუთრებით, რექტორის მრჩეველს მარინა ლომოურს. თსუ-ის ადმინისტრაციის დახმარებითა და ხელშეწყობით ეს დღე ღამაზ მოგონებად დარჩებათ მოსწავლეებს, რომლებიც ხვალ უკვე ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები გახდებიან“, — განაცხადა „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ ხელმძღვანელმა მარი უკლებამ.

საზეიმო შეხვედრას ესწრებოდნენ თსუ-ის ადმინისტრაციის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეები და სხვა მოწვეული სტუმრები. შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორი მარინა ლომოური, პროფესორი მანანა ლობჯანიძე, სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი პაატა კოღუაშვილი და სხვები.

„მიზანი, რასაც ეს სკოლა ემსახურება, არის ის, თუ რამდენად მოახერხებს მოსწავლეებში სწავლის სურვილის აღძვრას, საგნით დაინტერესებას. მოსაწონია სწავლების მეთოდოლოგიაც, რომელიც მოსწავლეებს ლექციების მოსმენასთან ერთად დიალოგის, მსჯელობის კულტურას ასწავლის, ასევე, აცნობს როგორ ცხოვრობს ბიზნესი სამყარო და როგორ იღებენ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს. იმედი მაქვს, რომ სკოლა მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება და გაცილებით მეტ მოსწავლეს დააინტერესებს“, — განაცხადა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა აკაკი ხელაძემ.

„ნორჩ ეკონომისტთა სკოლა“ — ეს არის ერთერთი არა თუ წარმატებული პროექტი, არამედ ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება ისეთი სერიოზული, რთული მეცნიერება, როგორიც ეკონომიკაა, გახდეს

მე-7 გვერდზე

შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებლებთან

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის სტუდენტები და სოციალური მუშაობის პრაქტიკის ორგანიზაციების წარმომადგენლები პოტენციურ დამსაქმებლებს შეხვდნენ. ღონისძიებაზე საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია 40-ზე მეტი ორგანიზაციის წევრმა წარმოადგინა. მომავალ სოც-მუშაკებს მათთან პირადად გასაუბრების საშუალებაც მიეცათ. აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლები სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე იზრუნებენ.

სოციალური მუშაობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამები თსუ-ში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე წელია მუშაობს. ამ პროგრამების ერთერთი ძირეული შემადგენელი ნაწილი კი სწორედ პრაქტიკის კომპონენტია, რომელიც სტუდენტებს საუნივერსიტეტო პროგრამის გავლისას საფუძვლიანი გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს. ამ პროცესში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია აქტიურად არის ჩართული.

„სოციალური მუშაკების პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში აკადემიურ განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი პრაქტიკას უჭირავს. შეხვედრაზე 40-ზე მეტი ორგანიზაციაა წარმოდგენილი, სადაც ახალგაზრდა სოც-მუშაკებს დასაქმების პერსპექტივა აქვთ“, — აღნიშნა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარემ სალომე ნამიჭეიშვილმა.

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში სოც-მუშაკების პროფესიის განვითარება მიმდინარეობს. შესაბამისად, პროფესიონალი კადრების მომზადება და მათი პოტენციური დამსაქმებლებისთვის შეთავაზება საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. სოც-მუშაკების ინსტიტუტის არსებობა ჯანდაცვის რეფორმის ერთერთი შემადგენელი ნაწილიცაა.

„დღეისთვის სამინისტროში 225 სოციალური მუშაკია, რომელთაც ამ მიმართულების აკადემიური განათლება აქვთ მიღებული და ერთწლიანი გადამზადების პროგრამა აქვთ გავლილი. სოც-მუშაკთა პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ბავშვების, მოხუცების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ყველა სოციალურად დაუცველი ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესება“, — აღნიშნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი ნადარეიშვილმა.

„სოც-მუშაკის პროფესიისადმი ინტერესს ბევრი იჩენს. ეს ერთერთი დარგია საქართველოში, რომელსაც დასაქმების 100%-იანი პერსპექტივა აქვს, თსუ-სა და ილიას უნივერსიტეტს დიდი წვლილი შეაქვთ ამ მიმართულებით პროფესიონალი კადრების მომზადებაში“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

თსუ-ში სოციალური მუშაობის პრაქტიკის ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სტუდენტების პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრა 22 ივნისს გაიმართა. ღონისძიება საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ხელშეწყობის მიზნით მოეწყო.

მოხალისე სოციალური მუშაკები საზოგადოების წევრთა მხარდასაჭერად

ნატო ოგოლაძე

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ“ თსუ-ში სემინარი სახელწოდებით „მოხალისე სოციალური მუშაკები საზოგადოების წევრთა მხარდასაჭერად“ გამართა. ღონისძიების მიზანი საზოგადოებისთვის იმ სტიგმის გაცნობიერება გახლდათ, რომელსაც დღეს შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები განიცდიან. სემინარს არასამთავრობო ორგანიზაციის „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის” წარმომადგენლებიც უძღვებოდნენ. მათ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა პრობლემები თსუ-ის სოციალური სამუშაოს სტუდენტებთან ერთად განიხილეს.

„ჩვენი ასოციაცია აწევრიანებს თსუ-ის სოციალური მუშაობის პროგრამის სტუდენტებსაც, რაც ძალიან გვეამაყება. რაც შეეხება დღევანდელ ღონისძიებას, მას არასამთავრობო ორგანიზაციის „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის” წევრებიც ესწრებოდნენ, რომლის წარმომადგენელი თავად არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. სოციალურ მუშაკებთან და სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტებთან მან პირადად ისაუბრა, თუ რას ნიშნავს იყო დღეს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და რა პრობლემების წინაშე დგანან ეს ადამიანები“, — განაცხადა „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის“ სოციალური სამუშაოს ტრენერმა თამარ ივანიაძემ.

სემინარზე სოციალური მუშაკების პროფესიის შესახებაც ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ სოციალური სამუშაოს სასწავლო პროგრამებს უმაღლეს სასწავლებლებში ფუნქციონირების დიდი ტრადიციები არ აქვთ და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მსგავსი ტიპის ღონისძიებებში სტუდენტების ჩართვის უზრუნველყოფა პროფესიონალი კადრების მომზადებას შეუწყობს ხელს.

„ჩვენ ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს აწუხებთ. ჩამოვაყალიბეთ ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებები. გარდა ამისა, განვსაზღვრეთ, რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების როლი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სოციალური ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს დისკუსიები სტუდენტებთან ერთად გაიმართა. როდესაც ადამიანები ეუფლებიან სოციალური მუშაკის პროფესიას აუცილებელია, რომ მათ ზუსტად შეეძლოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების შეფასება და მათი რეაბილიტაციისთვის ხელის შეწყობა. დღევანდელი სემინარიდანაც გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდები დაინტერესებულები არიან ამ პროფესიით და სწორი ხედვითაც გამოირჩევიან“, — აღნიშნა „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა რატი იონათამაშვილმა.

სემინარი „მოხალისე სოციალური მუშაკები ჩვენი საზოგადოების წევრთა მხარდასაჭერად“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კვირეულის ფარგლებში 13 ივნისს გაიმართა.

„ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ IV გამოშვება

მეექვსე გვერდიდან

საინტერესო და ადვილად გასაგები მოსწავლეებისთვის. ეს ნამდვილად, თსუ-ის პროფესურის დამსახურებაა,“ — აღნიშნა „თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორმა მარინა ლომოურმა.

რუსთავის №18 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ხატია რუბაშვილმა და თბილისის №115 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლემ გვანცა კუბლაშვილმა მადლობა გადაუხადეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შთამბეჭდავი ლექციების ჩატარებისთვის.

საზოგადოებას სიტყვით მიმართა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა პაატა კოღუაშვილმაც, რომელიც მოსწავლეებს უნივერსიტეტის წარსულზე და მის ფუნქციაზე ესაუბრა. მან ასევე, ხაზი გაუსვა „საბავშვო უნივერსიტეტის“ საქმიანობის მნიშვნელობას მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში.

ამავე დღეს გაიმართა „თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში მოქმედი „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ მოსწავლეთა კონფერენციაც, რომელიც ეკონომიკის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს ეხებოდა — „სურსათის უვნებლობის პრობლემები და გადაჭრის გზები საქართველოში“, „ბიზნესის განვითარების პერსპექტივები“, „დასაქმება და უმუშევრობა“ და სხვ.

თბილისისა და რუსთავის საჯარო სკოლების 33 მოსწავლემ საინტერესო ნაშრომები წარმოადგინა, რომლებიც პროფესორ-მასწავლებლებისგან შემდგარმა ჟიურიმ შეაფასა. გამოვლენილია გამარჯვებულებიც: I ადგილი დაიკავა თბილისის 174-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა (ირაკლი ჩიტიძე, ენრიკე ქობალია, გიორგი ჭაბუკაშვილი, გიორგი ზაზაძე; თემის ხელმძღვანელი: ვ. არღუთაშვილი), რომელმაც საქართველოში ექსტრემალური ტურიზმის განვითარებაზე მოამზადა საკონფერენციო თემა. II ადგილი მოიპოვა რუსთავის 18-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისგან შემდგარმა გუნდმა (დავით ვაჩიბერიძე, სალომე ივანიშვილი, ანა გურგენიძე; თემის ხელმძღვანელი: გ. ერქომაიშვილი), რომელმაც უცხოურ ბრენდებზე წარმოადგინა საინტერესო ნაშრომი, ხოლო III ადგილი წილად ხვდა ეკონომიკასა და რაციონალურ აზროვნებაზე მომზადებულ თემას, რომელიც თბილისის №55 საჯარო სკოლის მოსწავლემ მარიამ მაისაშვილმა მოამზადა (თემის ხელმძღვანელი: მ. ნაცვალაძე).

გამარჯვებულები დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ, ხოლო ჟიურიმ საუკეთესო თემისა და კარგად გაკეთებული პრეზენტაციისთვის თბილისის №167 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე გიგა ჩიტიშვილი რჩეულად აღიარა.

საზეიმო შეხვედრის ბოლოს, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა აკაკი ხელაძემ პროექტის ორგანიზატორებს და ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს საპატიო დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადასცა. სერტიფიკატები დაურიგდათ „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ წარჩინებულ და აქტიურ მსმენელებსაც.

2011-2012 სასწავლო წელს „ნორჩი ეკონომისტის სკოლაში“ დაახლოებით 100-მდე მოსწავლე დარეგისტრირდა. მათ შორის რუსთავის რამდენიმე სკოლის 30-მდე მოსწავლეც. „ნორჩ ეკონომისტთა სკოლა“ წელსაც ჩვეულებრივ ფორმატში იმუშავა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სკოლაში ლექციების წაკითხვის სურვილი უკვე დოქტორანტებმაც გამოთქვეს და რამდენიმე მათგანმა მოსწავლეებს საინტერესო ლექცია წაუკითხეს.

ქრონიკა

„დებატების კლუბის“ მუშაობის შედეგების პრეზენტაცია

21 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ „დებატების კლუბის“ მუშაობის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციის ფარგლებში კლუბის წევრებმა კარლ პოპერის სახელობის დებატების ფორმატით გამართეს დებატები. განსახილველი თემა იყო საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძოდ, მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარება.

„სტუდენტების მონაწილეობა დებატების კლუბში მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტებს გამოუმუშავდებათ დებატების კულტურა და უნარები. დღეს გაიმართა კლუბის შემაჯამებელი ღონისძიება, რომელმაც ამ პროექტის წარმატებული შედეგი გვაჩვენა. ეს კი იმის საფუძველია, რომ პროექტი მომავალ წელსაც გაგრძელდება“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„სტუდენტები საკმაოდ მოკლე დროში დაეუფლნენ დებატების სრულ ფორმატს. მათ საკმაოდ კარგი შეფასებები მიიღეს. ისინი უკვე მზად არიან დებატების მსაჯები გახდნენ, სადაც კიდევ უფრო განივითარებენ ამ უნარებს“ — განაცხადა საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა თინათინ ცერცვაძემ.

თსუ-ის სტუდენტის, დებატების კლუბის წევრის თამარ გრძელიშვილის თქმით, მსგავსი მიმართულების ტრენინგების ჩატარება აუცილებელია. „საზოგადოებაში, სამწუხაროდ, არ არსებობს დებატების კულტურა. კლუბის მეშვეობით საშუალება მომეცა გავცნობოდი დებატების ნიუანსებს და დავსწრებოდი ტრენინგებს. კლუბში მიღებული ინფორმაცია და შეძენილი უნარები აუცილებლად გამომადგება მომავალში“ — აღნიშნა თამარ გძელიშვილმა.

დებატების კლუბი 2012 წლის გაზაფხულის სემესტრიდან თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს. კლუბის მუშაობას უძღვებიან გამოცდილი მწვრთნელები, საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის წარმომადგენლები.

„პოლონეთის გზა დამოუკიდებლობისაკენ“

26 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია სენატის თავმჯდომარის ბოგდან ბორუსევიჩის ხელმძღვანელობით ეწვია. სენატის თავმჯდომარემ თსუ-ში წაიკითხა საჯარო ლექციას „პოლონეთის გზა დამოუკიდებლობისაკენ“.

ბოგდან ბორუსევიჩმა მოკლედ მიმოიხილა პოლონეთის ბოლო პერიოდის ისტორია, ისაუბრა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ პოლონელი ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე. „რატომ უყვართ პოლონელებს ქართველები — ამის მიზეზი ის საერთო ფასეულობებია, რომელიც ორივე ერისთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ დაახლოებით 250 წლიანი საერთო ისტორია გვაკავშირებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს და ეს არ არის ვინმეს წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკა. ცხადია, საქართველო უფრო რთულ ვითარებაშია, რადგან კავკასიის რეგიონი კონფლიქტებით აქტიური რეგიონია. ოციოდე წლის წინ პოლონელმა ხალხმა თავად გააკეთა დემოკრატიული არჩევანი ნაცრისფერ სამყაროსა და ევროსტრუქტურებში და ნატოში ინტეგრაციას შორის. ევროკავშირში ყოფნა პოლონეთის უსაფრთხოების გარანტიაა. რაც შეეხება ენერგოუსაფრთხოებას და რუსულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულებას: პოლონეთისთვის ენერგოუსაფრთხოება ნავთობისა და გაზის ახალი გზებისა და რესურსების მოპოვებაა. ამ საკითხისადმი ოდნავ სხვა დამოკიდებულებაა ძველ ევროპად მოაზრებულ ქვეყნებში. ძველი ევროპისთვის რუსული გაზი და ნავთობი არასტაბილური არაბული სივრცის ალტერნატივაა“ — განაცხადა სენატის თავმჯდომარემ.

„20 წელი პოლონეთის დამოუკიდებლობიდან ნატომდე ის გზაა, რომელსაც ახლა ჩვენ ვადგავართ. ამიტომ ძალიან საინტერესო იყო სენატის თავმჯდომარის ბოგდან ბორუსევიჩის მოხსენება თსუ-ში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყველა პოლონური ნიუანსის — შეცდომისა თუ გამარჯვების გააზრება“, — აღნიშნა თსუ რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ღონისძიებას საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი ურსულა დროშევსკა, თსუ-ის სტუდენტები, აკადემიური წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოში პოლონური დიასპორების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სენატის თავმჯდომარე ბოგდან ბორუსევიჩი თსუ-ს ვარშავის უნივერსიტეტის სემინარების ციკლის ფარგლებში ეწვია. სემინარების მიზანია ხელი შეუწყოს პოლონეთის თანამედროვე ისტორიისა და კულტურის უკეთ გაცნობას საქართველოში. ღონისძიების ორგანიზატორია ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიის სამეცნიერო კვლევის ცენტრი.

პოლონეთის რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარის ბოგდან ბორუსევიჩის ვიზიტი საქართველოში 25 ივნისიდან 28 ივნისამდე გაგრძელდება. ვიზიტის ფარგლებში სენატის თავმჯდომარე შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს. ბოგდან ბორუსევიჩი ეწვევა მცხეთას, ქუთაისს, თერჯოლას და ბათუმს.

თსუ-ის არქეოლოგიური ექსპედიცია ბერთაყანის ქვაბულში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერები ასპინძის რაიონში, სოფელ თმოგვის არეალში და ვარძიის მიდამოებში არქეოლოგიური გამოკვლევების მორიგ ეტაპს იწყებენ. საუბარია რამდენიმე ყორღანულ ველზე, რომლის შესწავლა წლების წინ მიმდინარეობდა და შეჩერდა.

თსუ-მ ორი წელია, რაც აღადგინა ექპედიცია. ექსპედიციის ხელმძღვანელის, თსუ-ის პროფესორის ვახტანგ ლიჩელის განცხადებით, „ამჯერად განსხვავებული მიზნები და ამოცანებია. აქ არსებული ყორღანები, დიდი ზომის სამარხები განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მესამე-მეორე ათასწლეულს. ეს უაღრესად შთამბეჭდავი არქეოლოგიური ძეგლია, რომელიც განლაგებულია ე.წ. ბერთაყანის ქვაბულში. მნიშვნელოვანი და განმასხვავებელი ამ ყორღანებისა გახლავთ ის, რომ მიწის ზემოთ არსებული წრიული ქვაყრილების ქვეშ განლაგებული და აშენებული არის მეგალითური დარბაზული სამარხი ოთახები. ჩვეულებრივ ასეთი ტიპის სამარხებში გვხვდება კერამიკული ნაწარმი და, ასევე, ლითონი. მაგრამ ისინი ტიპოლოგიურად განსხვავებული არიან იმ გარემოში აღმოჩენილი სხვა ნივთებისგან. უნიკალურია ამ სამარხების კონსტრუქციაც. ამჯერად, დაგეგმილია მრავალფეროვანი ინტერდისციპლინალური სამუშაოების ჩატარება. გარდა არქეოლოგიური სამუშაოებისა ჩატარდება სხვადასხვა სახის გამოკვლევები: ანთროპოლოგიური სახის გამოკვლევები, რაც აღმოჩენილი ადამიანის ნაშთების შესწავლას გულისხმობს მათი ასაკის, სქესის, დაავადების დადგენის მიზნით; პალინოლოგიური გამოკვლევები — ამ არეალში ძვ. წ. III-II ათასწლეულებში ეკოლოგიური გარემოს რეკონსტრუქცია და კვების რეჟიმის დადგენა“.

საქართველოში პირველად თსუ-ის მეცნიერები კვლევებისთვის გამოიყენებენ დათარიღების კომპლექსურ ფიზიკურ მეთოდებს. ბერთაყანის ქვაბულში სამუშაოები ერთ კვირაში, კვლევების ჩატარების ნებართვის მიღების შემდეგ დაიწყება. ექსპედიცია დაახლოებით ერთ თვეს გასტანს.

ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე თსუ-ში

28 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუ ეწვია. ვერშბოუ თსუ-სა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს შეხვდა.

ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ნატოს ჩიკაგოს სამიტის შედეგებსა და ნატო-საქართველოს ურთიერთობებს შეეხო. „ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ საზღვრებში. რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ ნატოსკენ მიმავალ გზაზე? ჩვენ არ ვიცით რა იქნება შემდეგ, როგორი იქნება დღის წესრიგი, ან რა გადაწყვეტილებები იქნება მიღებული. ღია კართან მისაახლოებლად და მასში შესაბიჯებლად მთავარია ენთუზიაზმის შენარჩუნება, აუცილებელია რეფორმებისა და სხვადასხვა აქტივობების გაგრძელება. ღია კარი რეალობაა“, — განაცხადა ალექსანდრე ვერშბოუმ სტუდენტებთან შეხვედრაზე.

შესავალი სიტყვის შემდეგ ალექსანდრე ვერშბოუმ სტუდენტების კითხვებს უპასუხა. თსუ სტუდენტის ირაკლი მაისაშვილის თქმით, „შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. ვერშბოუს პირადი გამოცდილებისა და რანგის მქონე ადამიანთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესო იქნება. სტუდენტები დავინტერესდით ჩიკაგოს სამიტით, რადგან ამ სამიტზე დაიდო პირობა, რომ შემდეგი სამიტი გაფართოების სამიტი იქნებოდა. დავინტერესდით ავღანეთის თემით, რადგან ამ ქვეყანაში ქართველი სამხედროები იმყოფებიან. საინტერესო იყო მისი მოსაზრება სირიის საკითხზე, რადგან ამ კონფლიქტის მოგვარება არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია“.

„ნატოს თემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. დიდი ხანია ველოდებით ნატოს კარის გაღებას. ამიტომ ნებისმიერი შეხვედრა ამ ორგანიზაციის ასეთი მაღალი რანგის წარმომადგენელთან თავისთავად ძალიან საინტერესოა. ვერშბოუ მაღალი რანგის დიპლომატია. იგი ელჩი იყო რუსეთში საკმაოდ საინტერესო პერიოდში. სტუდენტებმა საინტერესო კითხვებზე ასევე საინტერესო პასუხები მიიღეს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

როგორც ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა თენგიზ გოგოტიშვილმა აღნიშნა, „ვერშბოუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციაზე დასასწრებად, რომელიც ბათუმში გაიმართება. ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ თავად მოისურვა სტუდენტებთან შეხვედრა. ქართველ სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ პირველწყაროსგან მიეღოთ ინფორმაცია საქართველო-ნატოს დღევანდელი ურთიერთობების შესახებ“.

ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუ თბილისს 27 ივნისს ეწვია. მან ორმხრივი შეხვედრები ვიცე პრემიერ-მინისტრ გიორგი ბარამიძესთან და პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან გამართა. ალექსანდრე ვერშბოუ ბათუმში დაესწრება თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციას. ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე საქართველოს 29 ივნისს დატოვებს.

CERN-ის გენერალური დირექტორი თსუ-ში

ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (CERN) გენერალური დირექტორი, პროფესორი როლფ ჰოიერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა. ეს წოდება პროფესორ ჰოიერს, თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, თსუ-სთან აქტიური თანამშრომლობისთვის და სამეცნიერო ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიენიჭა. ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ვიქტორ მატვეევს კი ქართველი მეცნიერების ხელშეწყობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელი გადაეცა.

პროფესორმა როლფ ჰოიერმა წაიკითხა საჯარო ლექცია „ფუნდამენტური კვლევები ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაცია CERN-ში“. საჯარო ლექციის პირველი ნაწილი CERN-ის საქმიანობას, მის პრიორიტეტებს ეხებოდა, მეორე ნაწილი კი დიდ ადრონულ კოლაიდერზე მიმდინარე ექსპერიმენტებს დაეთმო.

თსუ-ში საჯარო ლექციით წარსდგა ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის (JINR) წარმომადგენელი, პროფესორი გენადი კოზლოვი.

თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციასთან. მან იმედი გამოთქვა, რომ CERN-თან თანამშრომლობა კიდევ უფრო გააქტიურდება. „ასეთი მასშტაბის მეცნიერი და ექსპერიმენტების ავტორი იშვიათად ჩამოდის საქართველოში და მოხარული ვარ, რომ სწორედ თსუ არის მასპინძელი“, — განაცხადა რექტორმა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე კოკა სეფერთელაძემ აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში ასეთი დონის მეცნიერების სტუმრობა. „სწორედ CERN-ში, დიდ კოლაიდერზე წარმატებულად მუშაობენ ქართველი მენიერები და წარმატებული პოზიციები უკავიათ“, — განაცხადა მან.

პროფესორ ჰოიერის სამეცნიერო სამუშაოები ელექტრო ნაწილაკების რეაქციების შესწავლასთან, ექსპერიმენტული ტექნოლოგიების განვითარებასა და დიდი დეტექტორული სისტემების მშენებლობასთან არის დაკავშირებული. 15 წლის განმავლობაში მას საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავა ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში (CERN), სადაც ოპალის ექსპერიმენტზე მუშაობდა, იყო DESY ლაბორატორიის დირექტორი, ასევე მრავალი სამეცნიერო კომიტეტისა და სათათბირო ორგანოს წევრი.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელი სულხან სისაური, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სტუდენტები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ერთიანი კავკასია: რეალობა და პერსპექტივები

14 ივნისს კავკასიურმა სახლმა საერთაშორისო ახალგაზრდულ სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლა, რომელიც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და კავკასიური სახლის პროექტის „ახალგაზრდა კავკასიელი ლიდერები მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის“ ორგანიზებით გაიმართა.

კონფერენციის თემა იყო „ერთიანი კავკასია: რეალობა და პერსპექტივები”, სადაც ახალგაზრდა მეცნიერებმა და სტუდენტებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს და კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრეს.

შურთხია გეროშვილი

ერთიანი კავკასიის იდეა შორეულ წარსულში იღებს სათავეს. კავკასიელი ხალხის საერთო წარმომავლობაზე ჯერ კიდევ ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაშია საუბარი, სადაც ავტორი გარკვევით მიანიშნებს: „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს....“ ეს იდეა მომდევნო საუკუნეებშიც აქტუალური იყო, მაგალითად, სამხრეთ კავკასიის გაერთიანების იდეა გაჩნდა ერეკლე II დროს, რომლის ცენტრად საქართველო ივარაუდებოდა, თუმცა ვითარება აბსოლუტურად განსხვავებული იყო და ამ ერთობის იდეას საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის სიმწვავე განსაზღვრავდა.

ერთიანი კავკასიური სივრცის იდეაზე სხვადასხვა დროს განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა, ამ საკითხებზე თსუ-ის მაგისტრანტმა ზურაბ კუნჭულიამ თავის მოხსენებაში გაამახვილა ყურადღება. მისი აზრით, ჯგუფური ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო ისტორიულ მემკვიდრეობასა და ისტორიას, რადგან საერთო წინაპრები აერთიანებს სხვადასხვა ეთნიკურ ხალხებს.

„კავკასიური ერთობის იდეა, განხორციელების მხრივ, მუდმივი წარუმატებლობის მიუხედავად, მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. შესაძლებელია თვალის მიდევნება ერთიანი კავკასიის შექმნის არაერთი მცდელობისათვის — ჯერ რუსეთის, შემდეგ ხანმოკლე დამოუკიდებლობის და, ბოლოს, საბჭოთა იმპერიის ფარგლებში. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოების არსებობის პერიოდში, საინტერესო გამონაკლისად ჩანს ავარის მმართველის ყაითმაზ ალიხანოვის მცდელობა, ჩამოაყალიბოს ერთიანი კავკასიის ნარატივის იდეა. მხედველობაში გვაქვს მისი მიმართვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი 1920 წლის ივნისში ჯერ თეთრგვარდიელების, შემდეგ კი ბოლშევიკების მოსვლით შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. „ავარებს სულითა და სისხლით ბევრი რამ აკავშირებთ ქართველებთან და თემურ-ლენგის შემოსევებამდე ეს მიწა-წყალი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო“. ეს ფაქტი ჩვენთვის საინტერესოა არა რეალობასთან მისი შესაბამისობა-შეუსაბამობის, არამედ საკუთრივ იდეის არსებობის კუთხით“.

მომხსენებლის ინფორმაციით, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ემიგრანტულ წრეებშიც აქტიურად განიხილებოდა კავკასიის კონფედერაციის შექმნის საკითხი, რომელიც კავკასიის ხალხებს ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების შესაძლებლობას მისცემდა. „ახალი საქართველოს სულიერი მეთაური ილია ჭავჭავაძე, წარსული საუკუნის ბოლოში, სხვა თავის თანამედროვეებთან ერთად, არაერთხელ ცდილა კავკასიის ერების მეგობრული გაერთიანების ფართო გეგმის შედგენას. ამ თაობას არაერთხელ ჰქონია მოლაპარაკება ამ საგანზედ აზერბაიჯანის, სომხეთის და ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებთან, გზა ხსნისა, გათავისუფლებისა და აღორძინებისა არის კავკასიის ერთა სახელმწიფო კავშირი, რომელსაც კავკასიის კონფედერაცია ეწოდება“, — წერდა 1929 წელს დიმიტრი ვაჩნაძე.

ერთიანი კავკასია არ გახლდათ მხოლოდ ლოკალური ინტერესის სფერო. მსჯელობაში ევროპელებიც მონაწილეობდნენ, თუმცა, ზოგიერთის აზრით, ეს მაინც უტოპიური იდეა იყო.

„XXI საუკუნეში სამყარო სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დგას და მათი დაძლევა ერთიან კავკასიას გაცილებით ადვილად შეუძლია, ვიდრე დაცალკევებულს, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასია მეტად რთული რეგიონია და მას ვერ მოერგება დღევანდელ სამყაროში უკვე არსებული მზა რეცეპტები. მისთვის სრულიად ახალი და უნიკალური პროექტი უნდა შეიქმნას კავკასიის ყოველი ნაციის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, თუმცა კი, დღევანდელი მოდელებიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე მისაღები ბრიტანული მოდელია, რა თქმა უნდა, გარკვეული ცვლილებებით. ისევე როგორც ქართველებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს და ჩრდილოკავკასიელებს აერთიანებთ კავკასიელობა, ბრიტანეთის მთავარ პარლამენტშიც ასევე ერთნაირად არიან როგორც ინგლისელები, ისევე, შოტლანდიელებიცა და უელსელებიც. ბრიტანეთის ბედს ისინი ერთად წყვეტენ. ასევეა შესაძლებელი ერთიანი კავკასიური პარლამენტის შექმნაც, რომელიც განსაზღვრავს კავკასიის ბედს, განახორციელებს ერთიან ეკონომიკურ პროექტებს და ერთად გაუმკლავდება თანამედროვე ეპოქის პრობლემებს“, — მიაჩნია ზურაბ კუნჭულიას.

მოხსენების ავტორმა ყურადღება გაამახვილა 2011 წელის საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის საქართველოში უვიზო მიმოსვლას ითვალისწინებს. მან დადებითად შეაფასა საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე, სადაც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: „არ არსებობს ჩრდილოეთი და სამხრეთ კავკასია, არის მხოლოდ ერთი კავკასია, რომელიც ეკუთვნის მსოფლიო ცივილიზაციასა და ევროპას“.

თუ ჩვენ წარსულს გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ კავკასიელებს კიდევ უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე ევროპელ ერებს ჰქონდათ ერთმანეთთან, ამიტომ თუ მათ შეძლეს ამგვარი წინააღმდეგობის დაძლევა, მით უმეტეს, კავკასიელებსაც შესწევთ ამის ძალა. კავკასიის მომავალი სტუდენტ-ახალგაზდობის ხელშია, რომლებმაც უნდა შეძლონ ახალი კავკასიური სივრცის შექმნა“, — აღნიშნა ზურაბ კუნჭულიამ.

ღონისძიების ორგანიზატორების: თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ია ხუბაშვილის და პროექტის „ახალგაზრდა კავკასიელი ლიდერები მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის” კოორდინატორი თამარ უჯუხუს და და თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორის ჯონი კვიციანის შეფასებით, ახალგაზრდა მეცნიერების მიერ წამოჭრილი პრობლემების განხილვა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საშური საქმეა.

„კავკასიის საკითხი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება არა მარტო რეგიონში, არამედ დასავლეთშიც. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი ახლახან გერმანიაში ყოფნის დროს, როცა ქალბატონ გიული ალასანიასთან ერთად მიწვეული ვიყავი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში ლექციის წასაკითხად. საქართველოში გერმანელი ჟურნალისტების ნაკლებობის გამო, გერმანული ინტელიგენცია, როგორც ჩანს, რუსული მასმედიიდან მიღებული ინფორმაციების ცალსახა გავლენას განიცდის. ეს იგრძნობოდა დისკუსიაშიც. თუმცა, როგორი კრიტიკულიც არ უნდა ყოფილიყო აუდიტორია, ერთი რამ უდავო იყო: საქართველოს პრიმატს კავკასიურ პროცესებში ყველანი აღიარებდნენ. რაც შეეხება დღევანდელ კონფერენციას, მიხარია, რომ სტუდენტებს შორის სულ უფრო იზრდება დაინტერესება კავკასიის პრობლემით და კავკასიელ ახალგაზრდებთან ურთიერთობების გაღრმავების სურვილით. ამ კონფერენციას სამეცნიერო მნიშვნელობის გარდა ერთგვარი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ქართველ სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებები გაუზიარონ იმ კავკასიელ ახალგაზრდებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და თავისი თვალით ხედავენ იმ რეალობას, რასაც სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა ჰქვია და რაც საქართველოს ლიდერად ხდის მთელ კავკასიაში. ამიტომაც საჭიროდ მიმაჩნია კავკასიელი და ქართველი ახალგაზრდების უფრო ინტენსიური ურთიერთობები სხვადასხვა ფორმატში. ამ საქმეში კი მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კავკასიურ სახლს“, — აღნიშნა ია ხუბაშვილმა.

პროფესორმა ჯონი კვიციანმა, რომელიც 25 წელი ცხოვრობდა ყაბარდო-ბალყარეთში და იქ მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა, აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდებს უჩნდებათ მოთხოვნილება გამართონ საერთაშორისო კონფერენცია, სადაც საშუალება მიეცემათ ერთმანეთის მოსაზრებები გაიზიარონ და გააღრმავონ კონტაქტები, რაც სამომავლოდ რეგიონის ერთიანობისთვის ესოდენ მნიშვნელოვანია.

პროექტის კოორდინატორმა თამარ უჯუხუმ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მნიშვნელობას, როგორც ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების გაღრმავების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტებმა: ტერეზა ჯაფარიძემ და დავით ვაჩეიშვილმა (თურქეთის როლი სამხრეთ კავკასიაში); IV კურსის სტუდენტებმა: გურამ ლეგაშვილმა და გიორგი ბუბაშვილმა (კავკასიის ერთიანობა - მროველისეული კონცეფცია თუ ისტორიული რეალობა); I კურსის მაგისტრანტებმა ზაურ კუნჭულიამ (ერთიანი კავკასიური სივრცე და ერთობის შესაძლო მოდელები), გიორგი მაკარაშვილმა (ჰიდრო რესურსების მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში), მაკა ხუციშვილმა (კავკასიური ერთიანობის იდეა და XIX-XX საუკუნეების ქართველი და კავკასიელი მოღვაწეები), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კავკასიის კვლევების საერთაშორისო სკოლის II კურსის მაგისტრანტმა მარატ ილიასოვმა (კავკასიური იდენტობა: რეგიონალური და რელიგიური), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის I კურსის დოქტორანტმა მაგომედ ხაძიევმა (კოშკური კულტურის მსგავსება ინგუშეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში), თეირანის უნივერსიტეტის კავკასიური კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა ანაჰიტა შაჰროჰმა, თეირანის უნივერსიტეტის კავკასიური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა, „კავკასიური სახლის” პროექტის — „კავკასიოლოგიური სახალხო უნივერსიტეტის“ რუსული სექტორის მსმენელმა ჰამედ კაზემზადეჰიმ (კავკასიელი და ჩერქეზი ხალხი სეფევიდების სამეფო კარზე, სპარსული წყაროების მიხედვით (XVI-XVII სს.), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და კავკასიოლოგიური სახალხო უნივერსიტეტის სტუდენტმა აიდა მირმაქსუმოვამ (საქართველოში მცხოვრები ხუნძები (ავარიელები): შედარებითი ანალიზი დაღესტანში მცხოვრებ ხუნძებთან), ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრმა, „კავკასიური სახლის” პროექტის - „კავკასიოლოგიური სახალხო უნივერსიტეტის“ მსმენელებმა: რეგინა იაგოროვამ (ქალთა სოციალური როლი დასავლეთ საქართველოს კონფლიქტურ ზონაში), და გიორგი გვასალიამ (ტაივანური მოდელის დანერგვა აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში), თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის მაგისტრანტმა კავკასიოლოგიური სახალხო უნივერსიტეტის მსმენელმა ირადიონ გეგიამ (რუსეთის ენერგო პოლიტიკა), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და რეგიონალური კვლევების II კურსის მაგისტრანტმა, კავკასიოლოგიური სახალხო უნივერსიტეტის რუსული სექტორის მსმენელმა ქრისტინა არაქელოვამ (ინფორმაციული ვაკუუმი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებში) და კავკასიოლოგიური სახალხო უნივერსიტეტის მსმენელმა ქეთევან ნადარეიშვილმა (ბერძნები კავკასიაში).

კონფერენციის დასასრულ მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

თანამშრომლობის მემორანდუმი „არტლაინთან“ და „დიოგენესთან“

ნატო ოგოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამომცემლობებთან — „არტლაინთან“ და „დიოგენესთან“ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმის თანახმად, გამომცემლობები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი გამოცემების თითო ეგზემპლარს უსასყიდლოდ გადასცემენ, თსუ-ის სტუდენტებისა და პერსონალისთვის კი სპეციალური ფასდაკლებით წიგნების გამოფენა-გაყიდვასაც მოაწყობენ. თსუ-ში გამომცემლობების „არტლაინისა“ და „დიოგენეს“ ახალი გამოცემების პრეზენტაციებიც მოეწყობა.

„თსუ-ის ბიბლიოთეკას 5 გამომცემლობასთან ჰქონდა თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული. ამჯერად კიდევ ორი გამომცემლობა დაემატა. რაც ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ახალი გამოცემებით შეივსება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოადგილემ ავთანდილ ჩუთლაშვილმა.

თსუ-მ გამომცემლობებთან „არტლაინთან“ და „დიოგენესთან“ თანამშრომლობის მემორანდუმი 25 ივნისს გააფორმა. ამავე დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში „არტლაინის“ მიერ გამოცემული წიგნის — „გრიგოლ ლორთქიფანიძე“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 130 და გარდაცვალებიდან 70 წლისთავს მიეძღვნა და მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება. ავტორი თსუ-ის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი დოდო ჭუმბურიძე გახლავთ.

„წიგნის „გრიგოლ ლორთქიფანიძის“ გამოცემა, არის გზავნილი ქართველი ახალგაზრდების მისამართით, რომ რაც შეიძლება მეტი გაიგონ თავისი დიდი წინაპრებისა და საქართველოს ისტორიის შესახებ“, — აღნიშნა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

„გრიგოლ ლორთქიფანიძემ 1924 წელს, ციხეში ყოფნის დროს, დაიწყო წიგნის „ფიქრები საქართველო“ წერა. როდესაც დაამთავრა, მიწაში ჩაფლო, რომ ციხის ზედამხედველს არ წაერთმია. შემდეგ ეს ნაშრომი თავის ოჯახის წევრებს გამოუგზავნა, თუმცა წიგნმა დღის სინათლე მხოლოდ 1995 წელს იხილა. წიგნში „გრიგოლ ლორთქიფანიძე“ შესულია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო მომენტები. ეს ადამიანი წერდა იმ პრობლემატიკაზე, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ისტორიული და სამომავლო თვალსაზრისით, ეკონომიკური საკითხები — თუ როგორ უნდა აითვისოს ქართველმა კაცმა შავი ზღვის ტერიტორია, როგორ უნდა იარსებოს პატარა ერმა და ასე შემდეგ... შესაბამისად, წიგნი „გრიგოლ ლორთქიფანიძე“ არ არის მხოლოდ ბიოგრაფიული ხასიათის, იგი მოიცავს ამ დიდი ადამიანის ხედვის შეფასებასა და ანალიზსაც“, — განაცხადა დოდო ჭუმბურიძემ.

დოდო ჭუმბურიძე, ასევე, ავტორია ისეთი ნაშრომებისა, როგორებიცაა: „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საუკუნის დასაწყისში, 1918-1921 წლები“, „აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი“, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ და სხვა. ამჟამად კი მისი 500 გვერდიანი მონოგრაფია იბეჭდება სახელწოდებით „ისტორიული პორტრეტები და წერილები — ალექსანდრე ბატონიშვილიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილამდე“.

რესტავრირებული წიგნების გამოფენა თსუ-ის ბიბლიოთეკაში

ნატო ოგოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესტავრაციის განყოფილებამ გამოფენა მოაწყო, რომელზეც თსუ-ის ბიბლიოთეკის ფონდში დაცული წინა საუკუნეებში გამოცემული 10 რესტავრირებული წიგნი, ერთი ხელნაწერი — „ასტროლოგიური ტრაქტატი“ და ორი ფერწერული ტილო იყო წარმოდგენილი. ათივე წიგნი XIX საუკუნით თარიღდება. მათ შორის 7 ლექსიკონი და ორი დასურათებული ატლასია. ხელნაწერი კი XIX საუკუნის დასაწყისშია შესრულებული. ლექსიკონებიდან ერთერთი, ჩინურ-ფრანგულ-ლათინური ლექსიკონი, ნაპოლეონ დიდის ბრძანებით პარიზშია გამოცემული და მასში ჩინური იეროგლიფები ლათინური ტრანსკრიფციითაც არის მოცემული. ღონისძიებაზე, ასევე, გამოფენილი იყო ლაროსის დიდი უნივერსალური ლექსიკონის მეორე შევსებული გამოცემა, რომელიც ისტორიოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ბიოგრაფიულ, მითოლოგიურ, ბიბლიოგრაფიულ, ლიტერატურულ, სახელოვნებო და ა.შ. ცნობებს მოიცავს. ერთერთ რესტავრირებულ წიგნში ფერადი ილუსტრაციებით ევროპის კონტინენტზე არსებული ფრინველებია წარმოდგენილი. ქართულ ხელნაწერში „ასტროლოგიური ტრაქტატი“ კი ციურ სხეულთა განლაგების, მათი თვისებების და სამყაროზე გავლენის შესახებ ინფორმაცია არის შესული. რაც შეეხება გამოფენაზე წარმოდგენილ რესტავრირებულ ფერწერულ ტილოებს, ერთი — „წვიმა არარატის ფერდობებზე“ — XIX საუკუნეში მოღვაწე ცნობილ სომეხ მხატვარს გევორგ ბაშინჯაღიანს ეკუთვნის. მეორე ფერწერული ნამუშევრის ავტორი კი ო. მერლინია, რომლის შესახებ ისტორიას საკმაოდ მწირი ინფორმაცია აქვს. თუმცა ვარაუდობენ, რომ იგი პარიზში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. მერლინის ნამუშევარი ზეთში შესრულებული მარინისტული პეიზაჟია.

„რესტავრაციის განყოფილებაში ძალიან ბევრი დაზიანებული წიგნი შემოდის. ხშირ შემთხვევაში დაზიანებულია არა მხოლოდ ყდა, არამედ წიგნის შიგთავსიც. სარესტავრაციო განყოფილების ლაბორატორიაში ფერწერული ნიმუშების აღდგენაც ხდება და ორი რესტავრირებული ფერწერული ტილო გამოფენაზეც წარმოვადგინეთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ რესტავრაციის განყოფილებაში თანამედროვე ტექნიკა გვაქვს, რადგან ამის გარეშე მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში 4 მილიონამდე წიგნია დაცული, ამიტომ სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს“, — განაცხადა თსუ-ის ბიბლიოთეკის რესტავრაციის განყოფილების ხელმძღვანელმა თამარ კალმახელიძემ.

თსუ-ის ბიბლიოთეკის რესტავრაციის განყოფილების თანამშრომლებმა მუშაობის დაწყებამდე სტაჟირება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიარეს.

„სამწუხაროდ, ათეული წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რესტავრაციის განყოფილება არ ფუნქციონირებდა. წლინახევრის წინ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით იგი ისევ ამოქმედდა. უპირველეს ყოვლისა, მოვიძიეთ კადრები და განყოფილება ახალგაზრდა სპეციალისტებით დაკომპლექტდა. იმედი მაქვს, რომ ეს ახალგაზრდები, დიდი ენთუზიაზმით და შემართებით გააგრძელებენ მუშაობას პირველი ქართული უნივერსიტეტის უმდიდრესი წიგნების ფონდის გადასარჩენად“, — გვითხრა თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

თსუ-ის რესტავრაციის განყოფილება 2011 წლის ივლისში ამოქმედდა და თანამედროვე ტექნიკითა და ხელსაწყოებით აღიჭურვა. საერთო მონაცემებით ლაბორატორიაში რესტავრაცია უკვე 100-მდე წიგნს ჩაუტარდა.

„რესტავრაციის ლაბორატორიის საშუალებით ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, რომ თსუ-ის ბიბლიოთეკის ფონდში შენახულ უნიკალურ წიგნებს, ხელნაწერებსა და სხვა დოკუმენტებს რესტავრაცია ჩავუტაროთ. აღვადგინოთ ისინი და პირვანდელი სახე დავუბრუნოთ. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცოტაა მსგავსი ტიპის სარესტავრაციო ლაბორატორიები და თსუ-ის რესტავრაციის განყოფილების ამოქმედებით მათ რიცხვს კიდევ ერთი შევმატეთ. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტებს, რომლებიც რესტავრაციის ხელოვნებას სწავლობენ, დასაქმების შესაძლებლობა ეძლევათ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

თსუ-ის ბიბლიოთეკის რესტავრაციის განყოფილების ლაბორატორიაში შესრულებული სამუშაოებს პრეზენტაცია 15 ივნისს მოეწყო. ღონისძიების ფარგლებში ვიდეოჩვენებაც გაიმართა, რომელიც სარესტავრაციო სამუშაოების პროცესს ასახავდა.

გაბრწყინებული მეცნიერება — „გალაკტიონოლოგია“

შურთხია ბეროშვილი

ვინ იყო გალაკტიონის „მერი?“

ერთი რამ ცხადია: ის იყო ქალთა შორის უმშვენიერესი, რომლის სულიერი თუ ფიზიკური სილამაზის აღქმა და გადმოცემა მხოლოდ ისეთ გენიას შეეძლო, როგორიც გალაკტიონი იყო.

მაგრამ, მაინც ვინ იყო ის, ვინც პოეტის გული სამუდამოდ მოინადირა? — ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ გალაკტიონმა იცოდა:

„სახელი მერი მე არ მომიგონია, თუმცა ლექსის ობიექტად პირველი ეს ლექსია საქართველოში. მერი ხშირია ბაირონის ლირიკაში; მერი ასულდგმულებს შელლის; მერის აღტაცებაში მოჰყავს პუშკინი; მერი ერთი უკეთესი ტიპია ლერმონტოვისა და ათასი ინგლისური და ფრანგული სიმღერების გმირი ქალია მერი. ჩამოთვლილი პოეტების არც ერთი მერი ერთმანეთს არ ჰგავს — ჩემი მერი რომანტიკულია, მაგრამ რეალური და ცხადი. კრიტიკოსებს კი სურთ, გააბან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლოკს შორის. ეს ლექსი დამოუკიდებელი ლექსია“.

— ამ ჩანაწერში გალაკტიონი თითქოს არც უარყოფს და არც ამტკიცებს, რომ მერი რეალური პიროვნებაა, ამიტომაც დღესაც არ წყდება კამათი ლიტერატურულ წრეებში იმის შესახებ, თუ ვინ „იმალება“ პოეტის მუზის მიღმა. პარალელებს ავლებენ ოლია ოკუჯავასთან, ოლღა დარიუსთან, ნინო კვირიკაძესა და უმშვენიერეს მერი შერვაშიძესთან.

ამ კითხვაზე პასუხს დიდი ხანია ეძებს თსუ-ის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი, ბაირონის საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი ინესა მერაბიშვილიც, რომლის ბოლო დროის მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება გალაკტიონის შემოქმედებას. სწორედ ქალბატონ ინესას დამსახურებად მიიჩნევენ სპეციალისტები იმ ფაქტს, რომ გალაკტიონის პოეზია აღარ ითვლება „უთარგმნელად“. პოეტის 25 ლექსის ინგლისურენოვანი თარგმანი კრებულის სახით მან პირველად 2005 წელს გამოაქვეყნა, გასულ წელს კი ბრიტანულმა გამომცემლობამ გამოსცა გალაკტიონის 50 ლექსისგან შემდგარი ორენოვანი კრებული, რომლის პრეზენტაცია ლონდონში, გალაკტიონის 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ინიციატორები იყვნენ ინგლისელი ლორდები, პოეტები, ლიტერატორები და დიპლომატები. წიგნმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ინგლისელებმა კი აღიარეს, რომ ეს იყო გალაკტიონის ტრიუმფალური შებრძანება ბრიტანულ საზოგადოებაში.

ინესა მერაბიშვილის წიგნების: გალაკტიონის ინგლისურენოვანი თარგმანის კრებულისა და „Meri“-ს პრეზენტაცია 20 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა, სადაც დამსწრე საზოგადოებამ თავად წიგნების ავტორისგან მოისმინა მოხსენება თემაზე: „ბაირონი და გალაკტიონი“.

„გალაკტიონი არის მწერალი, რომელსაც „ჯერ ლექსი წვავდა, მერე მზე...“ იგი შთაგონებული იყო დიდი ლიტერატურით. მის პოეზიაზე, ისევე, როგორც ევროპულ და, საერთოდ, მსოფლიო კულტურაზე, განსაკუთრებული გავლენა ბაირონმა იქონია. ამ „ექომ“ საქართველომდეც მოაღწია და უნდა ითქვას, რომ გალაკტიონიც აჰყვა ამ „მოდას“ (კარგი გაგებით). დაუჯერებელი სიყვარული მერი ჩავორსისადმი, რომელიც ბაირონს მართლა უყვარდა, მთელ ევროპას მოედო... მერიზე და მის უკიდეგანო სიყვარულზე წერენ ცნობილი პოეტები, თუმცა ეს მოდა ისე კი არ უნდა გავიგოთ, როგორც იმიტაცია და მიბაძვა, არამედ, როგორც ახალი ხედვის დამკვიდრება, რადგან თუ მხოლოდ გავლენაზე ვისაუბრებთ, ჩვენ დიდ პოეტს ვერ მივუახლოვდებით. ვფიქრობ, ეს უფრო გაპაექრებაა — გალაკტიონი თავისი შემოქმედებით ეპაექრება ბაირონსა და სხვა პოეტებს და სცილდება მათ მიერ მიღწეულ სიმაღლეებს“, — ამბობს მკვლევარი.

და მაინც, ვინ იყო გალაკტიონის მერი? — ამ საკითხზე პროფესორ ინესა მერაბიშვილს საკმაოდ განსხვავებული მოსაზრება აქვს:

„მერი იყო ყველა ის ქალი, რომელიც გალაკტიონს უყვარდა, ვისაც ეტრფოდა და ეთაყვანებოდა: ოლია ოკუჯავა, ოლღა დარიუსი, ნინო კვირიკაძე... თავად მერი შერვაშიძე, რომელსაც პოეტი არც კი იცნობდა.

ამასთანავე, ნუ დაგვავიწყდება, რომ გალაკტიონის მერი თავად ღვთისმშობელია.

„აქ მრავალია ცისფერი ფერი,
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
როგორც ქალწულის სახელი — მერი
არის ცისფერი და მწუხარება“.

ამ წიგნის მიზანია, დაასაბუთოს, რომ გალაკტიონის მერი არის ის დიდი ლიტერატურული სახე, რომელიც პოეტმა, საკუთარი განცდებიდან გამომდინარე, სახელდობრ, ლორდ ბაირონთან, ევროპულ და რუსულ პოეტურ შთაბეჭდილებებთან შეხმიანებით შექმნა. ამიტომაც იყო, რომ როდესაც ლექსი „მერი“ პირველად ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა, მისი სათაური გალაკტიონმა გამოხატა ლათინური ასოებით: „Meri“, რითაც, უდავოდ, მიანიშნა იმ ევროპულ სამყაროზე, სადაც ეს სახელი მარიამ ღვთისმშობელს უთანაბრდება და საიდანაც წამოვიდა ბაირონის მიერ შთაგონებული მერის, როგორც გაუზიარებელი სიყვარულის, ესოდენ შთამბეჭდავი ლიტერატურული სახე“, — აღნიშნავს ინესა მერაბიშვილი.

წიგნის პრეზენტაციაზე ინესა მერაბიშვილის, როგორც მკვლევარისა და მთარგმნელის, დამსახურებაზე ისაუბრეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გუჩა კვარაცხელიამ.

„სასიამოვნო ფაქტია, რომ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ასე მასშტაბურად აღნიშნავს ერთერთი პირველი პოეტი-აკადემიკოსის — გალაკტიონის 120 წლისთავს. ქალბატონი ინესას დამსახურება ქართველი პოეტის პოპულარიზაციის საქმეში უდავოდ დიდია. მისი მონოგრაფია საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მკვლევარი გვთავაზობს განსხვავებულ მოსაზრებას და გალაკტიონის ბაირონთან კავშირზე საუბრობს“, — აღნიშნა თამაზ გამყრელიძემ.

„გალაკტიონი თავად ამბობდა, რომ „გალაკტიონოლოგია“ უნდა შეიქმნასო. დღეს ეს დარგი რეალურად არსებობს. გალაკტიონი ქართველი მკითხველის უსაყვარლესი პოეტია და დღემდე ეძებს მკითხველი, რაში „იმალება“ გალაკტიონის სიდიადე და რატომ არის იგი ასეთი გამორჩეული. მისი შემოქმედება საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მან მთელი ქართველი მკითხველი აზიარა ევროპულ ნოვაციებს. აქ თავს იჩენს კულტურათა დიალოგის საკითხი, რომელიც დღეს ასე აქტუალურია. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი დიდი პოეტის ადგილი ვიპოვოთ ამ სამყაროში, ამიტომ ქვეყნის ადგილსაც ვიპოვნით. ქვეყანას აქვს „პასპორტი“ და, როგორც წესი, პატარა ქვეყანას იმდენი ქულა ეწერება, მისი რამდენი მწერალიც იქნება აღიარებული მსოფლიოში. ეს ქულები ძალიან გვჭირდება, ამიტომ ყოველი ასეთი თარგმანი და გამოკვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა გუჩა კვარაცხელიამ.

„ის ფაქტი, რომ ჩვენ, ქართველები, ჟამთა ცვალებადობას ვუძლებთ, ქართული პოეზიის დამსახურებაა. საბედნიეროდ, სამ ენაზე შემიძლია ლექსის გააზრება და შეგრძნება, ამიტომ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ინესა მერაბიშვილის გალაკტიონის თარგმანი შეუდარებელია, კვლევა კი უაღრესად საინტერესო. ასეთი საქმიანობა ლიტერატორების მხრიდან დღეს საქართველოს უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე ჰაერი, წყალი და თვით ეკონომიკა... გალაკტიონმა ისეთი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომლითაც სამყაროს დაგვაკავშირა და ამიტომაც ჩვენი განადგურება შეუძლებელია. ინგლისელების ბაირონი მსოფლიომ გაიცნო და შეიყვარა, გალაკტიონს კი არ იცნობდნენ და ეს „შეცდომა“ ინესა მერაბიშვილმა გამოასწორა“, — აღნიშნა ნუგზარ რუხაძემ.

შეხვედრაზე არაერთხელ აღინიშნა, რომ ინესა მერაბიშვილმა შეძლო გალაკტიონის ანდერძის შესრულება: „ვაშა მას, ვისაც ცოდნისთვის ძალა არ დაუზოგია, გაბრწყინდეს მეცნიერება „გალაკტიონოლოგია“.

„გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“

დენიზა სუმბაძის ახალი ნაშრომი

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

დენიზა სუმბაძის ახალი ნაშრომი — „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ” წარმოადგენს საბერძნეთში, ათონის მთაზე მოღვაწე ბერის, გიორგი მთაწმინდელის პავლე მოციქულისადმი მიძღვნილი სავედრებლის ისტორიოსოფიურსა და თეოლოგიურ განმარტებას. წიგნის მთელი სიუჟეტი „ტრიალებს” ავტორისეული საჯარო გამოსვლის ირგვლივ, რომელიც თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, 2010 წლის 9 აპრილს, გიორგი მთაწმინდელის დაბადებიდან 1000 წლისთავის აღსანიშნავ სხდომაზე ავტორმა წაიკითხა. ქალბატონმა დენიზა სუმბაძემ მაშინ პირველად გააცნო საზოგადოებას გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველების შინაარსი და მნიშვნელობა.ამ ორი ისტორიული თარიღის — 9 აპრილისა და გიორგი მთაწმინდელის დაბადებიდან 1000 წლისთავის ურთიერთ შეკავშირებით, წიგნის ავტორი პარალელებს ავლებს მეთერთმეტე საუკუნისა და 21-ე საუკუნის საქართველოს რეალობას შორის და საკმაოდ მწვავედ აშუქებს იმ ეროვნულ პრობლემებს, რაც ქართველი ერის წინაშე დგას.

ავტორი გადმოგცემს ქართველთა, ანუ ივერიელთა მონასტრის „ივერიონის“ დაარსების ისტორიას და საუბრობს დიდი ათონელი მოღვაწეების — იოანე და ექვთიმე ათონელის და გიორგი მთაწმინდელის ღვაწლზე საეკლესიო ლიტერატურის შექმნასა და თარგმნაში, ასევე, სიღრმისეულად განიხილავს გიორგი მთაწმინდელის სავედრებელს, სადაც მვედრებელი სულიერი მამა თავის მშობლიურ ერს, ანუ ქართველ ერს ისე მოიხსენიებს, როგორც: „ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“.

წიგნის მეორე ნაწილში, სახელწოდებით „კომენტარები“, მკითხველს შეუძლია გაეცნოს ავტორის აზრსა და ხედვას მხატვარ იდა თვარაძეზე, ქართული ეროვნული მოძრაობის მეთაურებზე: მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიაზე, ნიკო ჭავჭავაძეზე.

წიგნის პრეზენტაცია 13 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა, სადაც მას მეცნიერთა ფართო სპექტრი დაესწრო.

წიგნის შესახებ გვესაუბრება ისტორიკოსი ლეილა მირიანაშვილი:

„დენიზა სუმბაძის ახალი ნაშრომი — „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ” ეხება ჩვენთვის საჭირბოროტო და ისტორიისთვის ძნელად საკვლევ საკითხებს. იგი თემატურად მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ ყველა ეს საკითხი ერთ წერტილში იყრის თავს და დასაბუთებულად აშუქებს იმ საოცრად დიდი მნიშვნელობის საკითხს, როგორიცაა ქართველი ერის სულიერი მისია. აღნიშნულ თემას მრავალი მკვლევარი შეხებია, მაგრამ მეტად მწირი ისტორიული წყაროების აქა-იქ გაბნეული და დღემდე შემორჩენილი მცირეოდენი ცნობებიდან ასეთი დასკვნები არავის გამოუტანია. გასაოცარია ისტორიის წიაღის ფარულ შრეებში ავტორისეული წვდომის სიღრმე.

აღსანიშნავია მისი წინარე ნაშრომი, რომელიც მცხეთელ ქალდეველ მოგვებს ეხებოდა. ამ საკითხს მსგავსი თვალთახედვით ჯერ არც ერთი ისტორიკოსი არ შეხებია. მან მცხეთაში მცხოვრებ ქალდეველ მოგვებში შეიცნო ის ბიბლიური ხალხი, რომელიც ქრისტეს დაბადებასთან დაკავშირებით ბეთლემში ჩავიდა, ხოლო მისი წამებისა და ჯვარცმის შემდეგ, როგორც ჭირისუფლებმა, უფლის კვართი მცხეთაში ჩამოიტანეს.

ნაშრომში თანმიმდევრულადაა გადმოცემული სად, როგორ იშვა და განვითარდა ქართველი ერის „ახალ”, „საღმრთო” ანუ „ღვთაებრივ ერად” ჩამოყალიბების იდეა, რაც უკვე აშკარად ჩანს გიორგი მთაწმინდელის პავლე მოციქულისადმი მიძღვნილი სავედრებლიდან, სადაც იგი ქართველ ერს მოიხსენიებს როგორც „ახალსა ამას ერსა საღმრთოსა”, ხოლო საქართველოს მოიაზრებს ქრისტიანული მსოფლიოს წინამძღოლ ქვეყნად. გიორგი მთაწმინდელისეულ ამ მცნებასთან იგი აერთიანებს იოანე ზოსიმეს ცნობილ ნაწარმოებს — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, სადაც აღნიშნულია, რომ ყოველი საიდუმლო დამარხულია ამ ენაში და „ჟამსა მეორედ მოსვლისასა, უფალი ილაპარაკებს ამ ენით”. აქ უკვე აშკარად ჩანს ქართული ენის დამარხული ვინაობის გახსნა და მისი სამომავლო სულიერი მისია — ენა ხომ სულია ერისა. როგორც ქალბატონი დენიზა აღნიშნავს: „ეს მოძღვრება საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა, როგორც საიდუმლო ცოდნა ერისა, ყალიბდებოდა ერის რჩეულთა და ხელდასხმულთა მიერ და ვლინდებოდა ძუნწად”. სწორედ ეს ქართული ეკლესიის ეზოთერიული, ანუ საიდუმლო და ძუნწად გამოვლენილი თეორია გახსნა მან თავის ბრწყინვალე წიგნში ახლებური გაცნობიერებით და ეროვნული თვითშეგნებით. აღნიშნულ ნაშრომში დაყენებულია ქართული ქრისტიანობის საკაცობრიო მისიის საკითხი და ამიტომ ამ თვალსაზრისით ეს არა მარტო ქართული მეცნიერების გამარჯვებაა (როგორც წიგნის რედაქტორი ზურაბ რატიანი სამართლიანად აღნიშნავს), არამედ ეკლესიური აზრისაც, რითაც ეროვნული იდეოლოგია უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი. ვფიქრობთ, აღნიშნულს ღირსეულად შეაფასებს ქართული ეკლესია და

დენიზა სუმბაძე

მისი ავტორის ამ დიდ ღვაწლს სათანადოდ წარმოაჩენს.

ავტორი ეხება მრავალ საკითხს: ეთნონიმ „ურია”-ს, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომავლობას, მათ ტიტულატურას და ეთნიკურ კუთვნილებას და დასაბუთებით ამტკიცებს მათ ქართულ წარმომავლობასა და ებრაელებად მიჩნევის ცთომილებამცდარობას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი მეცნიერი შეეხო (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა) ბაგრატიონთა წარმოშობის საკითხს, რომლებიც ერთდროულად აღიარებდნენ ამ დინასტიის ქართულ წარმოშობასაც და ასევე დავით წინასწარმეტყველისგან წარმომავლობასაც, რაც ქართულ სინამდვილეში დღემდე გაუგებრობას ჰქმნიდა. დენიზა სუმბაძემ კი დაამტკიცა არა მარტო ბაგრატიონთა გენეტიკური ქართველობა, არამედ განმარტა — რას ნიშნავს ბაგრატიონთა „დავითიანობა” და რაში მდგომარეობს ბაგრატიონთა დავითიანობაში გამოხატული ეროვნულ-რელიგიური მისიის დედააზრი. ბაგრატიონთა „დავითიანობას“ პავლე ინგოროყვამ საკრალური მნიშვნელობა მიანიჭა, მარიამ ლორთქიფანიძემ კი მას „თეორია“ უწოდა, ხოლო ქალბატონმა დენიზამ შესანიშნავად ახსნა მისი საკრალურობაც და თეორიული შინაარსიც. მისი აზრით, ახალი ერის მისია – არის მხსნელი ერის მისია. ამაშია „დავითიანობის“ საკრალურობაც და საიდუმლო შინაარსიც.

მინდა ყურადღება გავამახვილო „გალობანი სინანულისანი”-ს იმ საკითხზეც, რასაც ისტორიკოსები თავიანთ მიმოხილვა-შეფასებებისას ნაკლებად ეხებიან. ქალბატონი დენიზას დამსახურებაა ისიც, რომ მან ურთიერთკავშირში განიხილა დავით აღმაშენებლის მიერ ბიზანტიური ტიტულის — „კუროპალატობის” უარყოფა და ბიბლიურ მეფეთა გაიდეალების უარყოფა, ანუ ცოდვად მიჩნევა დავით აღმაშენებლის მიერ მის სიყმაწვილეში დავით წინასწარმეტყველისა და საერთოდ ბიბლიური მეფეებისადმი ბაძვისა. ამ ტენდენციას, როგორც ჩანს, უფრო ადრე ჩაეყარა საფუძველი ბაგრატიონთა დინასტიაში, როდესაც მეფე გიორგი I აღარ კადრულობდა ბიზანტიის იმპერატორისგან ნაბოძები წითელი წაღების ჩაცმას და მწვანე ეტლით სიარულს, რაც მაშინ მორჩილებისა და ხარკის გადახდის ნიშნად აღიქმებოდა. ასე ეყრებოდა საფუძველი დიდ ისტორიულ გზას, რაც გამოიარა ქართულმა სულიერმა მისიამ.

ცალკე გვინდა შევეხოთ ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების, აწ უკვე ეროვნული გმირების — ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ქართველი ერის სულიერ მისიასთან კავშირს. მათთან მეგობრობაც ღმერთმა არგუნა ჩვენს ავტორს. როდესაც საქართველოში აღზევდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და ამ იდეამ მოიცვა მთელი საქართველო, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე შეეხო ამ საკითხს თავიანთ შრომებში, როგორც ეროვნული იდეის თეორიულ საფუძვლებს, მაგრამ მათ ეს ბოლომდე არ დასცალდათ. ქალბატონმა დენიზამ, მათმა სულიერმა დამ, უმაღლეს დონეზე აიყვანა ეს საკითხი, რითაც დაამტკიცა, რომ ამ ოცი წლის განმავლობაში ქართული ეროვნული მოძრაობა კი არ გაჩერებულა, არამედ აზრობრივად გაღრმავდა და ახალ საფეხურზე ავიდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორმა მკაფიოდ გამოკვეთა აზრი, რის მიხედვითაც ქართველ ერს მსოფლიოს ახალი წესრიგის ანტიქრისტიანულ და ანტიეროვნულ სივრცეში უწევს თავისი ისტორიული მისიის შესრულება.

ერთ პატარა წერილში ძნელია ყველა იმ საკითხზე საუბარი, რომელიც წიგნშია განხილული, მაგრამ არ შეიძლება ხაზგასმით არ ითქვას, რომ ავტორის მიერ გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველებისთვის დიდი ისტორიული საფუძველია გამოკვლეულ-გამოვლენილი, რომელიც ქალდეურ ცივილიზაციაში ჰპოვებს სათავეს (მას ქალდეველებზე კიდევ ცალკე, ბრწყინვალე წერილები აქვს გამოქვეყნებული). მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ქრისტიანობა არის ქალდეური ცნობიერების ამოხეთქვა იუდეაში”.

ნებისმიერი ერის ღირსებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სულიერი მისიის წარმოჩენას. ვფიქრობ, სწორედ დღეს უნდა დაწერილიყო ეს მეორე „ახალი საგალობელი“ ჩვენი სულის საოხად და გამოსაფხიზლებლად, რათა მარად გვახსოვდეს — რანი ვართ, საიდან მოვდივართ და საით უნდა წავიდეთ. ავტორი ამ წიგნით მოგვიწოდებს — „სდექ, მტკიცედ და შეურყევლად” ჩვენს ენასა და სარწმუნოებაზე“.

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ღვაწლმოსილი

გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, ომისა და შრომის ვეტერანი — **ᲞᲐᲕᲚᲔ ᲑᲐᲠᲣᲩᲐᲕᲐ.**

იგი დაიბადა 1923 წელს, გურიის სოფელ იანეულში (ჩოხატაურის რაიონი). მან წარჩინებით დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონი პავლე, სრულიად ახალგაზრდა სტუდენტი, ნებაყოფლობით გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში და ითხოვა ფრონტზე გაშვება. თხოვნა დააკმაყოფილეს და მისი სტუდენტური ცხოვრება ჯარისკაცის მძიმე ცხოვრებამ შეცვალა. ბატონი პავლე გმირულად იბრძოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე (გერმანიასთან და იაპონიასთან ომში) მეთაურის რანგში, რამდენჯერმე დაიჭრა კიდეც.

ომის დამთავრების შემდეგ იგი დაუბრუნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წლიდან ბატონი პავლე ასპირანტურაში აგრძელებს სწავლას, რომელსაც ასევე წარმატებით ამთავრებს. 1954 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წლიდან იგი მუშაობას იწყებს თბილისის უნივერსიტეტში და კითხულობს ლექციებს მომავალი ეკონომისტებისათვის წამყვან საგანს „მრეწველობის ეკონომიკაში“.

პავლე გარუჩავა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობას კარგად უთავსებდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი 1963 წელს ეკონომიკური ფაკულტეტის საბჭომ აირჩია ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. 2006 წელს, 83 წლის ასაკში, გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. თუმცა ამის შემდეგაც არ გაუწყვეტია საქმიანი კავშირი უნივერსიტეტთან.

დიდია ბატონი პავლეს წვლილი მომავალი თაობის აღზრდაში. მან, დეკანობის პერიოდში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში, ფაკულტეტიდან შეარჩია 10 სტუდენტი და სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. ნიშანდობლივია, რომ ამ ჯგუფის ყველა წევრმა დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

ბატონ პავლეს დარჩა შესანიშნავი შვილები და შვილიშვილები. იგი იყო მზრუნველი და მოსიყვარულე მეუღლე, ღირსეული კოლეგა და მეგობარი.

ბატონი პავლე გარუჩავას, როგორც უაღრესად პატიოსანი, შრომისმოყვარე და კეთილშობილი ადამიანის, მკაცრი, მაგრამ ობიექტური და სამართლიანი პიროვნების ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

მეგობრებისა და კოლეგების ჯგუფი

„ნიჭიერში“ გამარჯვებული თსუ-არტის ექსპერიმენტები

ორი თვის წინ ქართველმა მაყურებელმა უჩვეულო სანახაობა იხილა: ფილარმონიის სცენაზე „ინსტრუმენტები“ გამოჩნდა: გადაჭრილი წყლის მილები, ბამბუკის ჯოხები, ღვინის კასრებზე გადაკრული ძროხის ტყავი... „ნიჭიერის“ ჟიური გაოცებული უსმენდა ასევე უჩვეულო კომპოზიციას უცნაური სახელწოდებით: „შეშინებული აქლემი“... იმ დღეს ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ მუსიკა ყველგან და ყველაფერშია, თუმცა აქამდე ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დასაკრავი ინსტრუმენტების გარდა მუსიკის მოსმენა სხვა გზითაც არის შესაძლებელი.

„ეს არის კრიატიული, ორიგინალური, ახალი, ხარისხიანი და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი დამზადებულია საქართველოში“, — ასე შეაფასა პროექტ „ნიჭიერის“ ჟიურის წევრმა სოფო ნიჟარაძემ ჯგუფ „თსუ არტის“ გამოსვლა.

შურთხია გეროშვილი

ქართველს უთქვამს: „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო“, — აი, ასე მოიქცნენ ჯგუფის „თსუ არტის“ წევრები, როდესაც მიხვდნენ, რომ მუსიკა მათი მოწოდებაა, ფინანსები და ხელშეწყობა კი არა აქვთ. ელიავას ბაზრობა „დაიპყრეს“ და თავად შექმნეს ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც ჩვეულებრივ მაღაზიაში ძალიან ძვირი ღირს. მაგალითად, ირაკლი გოდერძიშვილს ჩოხატაურში სპეციალურად ძროხა დაუკლეს, რომ ტყავი გამოეგზავნათ, შემდეგ ის ტყავი რკინის კასრებს გადააკრეს და... ასე შეიქმნა სამი სხვადასხვა ზომის დასარტყამელი ინსტრუმენტი სხვადასხვა ჟღერადობით.

შემდეგ იყო ღამეების თენება თბილისის უნივერსიტეტის მუსიკალურ სტუდიაში, იყო მღელვარება — როგორ მიიღებდა მაყურებელი ექსპერიმენტულ მუსიკას, რომელსაც ჯერ სახელი არ აქვს.

ახლა კი მათ ყველა იცნობს: დრამი — გიორგი შარაშენიძე, სოლო გიტარა — დათუნა დგებუაძე, ბას გიტარა — სანდრო ნარსია, პირველი პერკუსია — ლაშა ლორთქიფანიძე, მეორე პერკუსია — ილია ჭუმბურიძე, მესამე პერკუსია — ირაკლი გოდერძიშვილი.

„ჩვენი ერთობლივი მუსიკალური ცხოვრება დაიწყო ორი წლის წინ, სტუდენტურ დღეებზე... ერთმანეთი „ტამ-ტამ-ფესტივალზე“ გავიცანით და იქვე, ექსპრომტად დავუკარით მუსიკალური კომპოზიცია. სხვათა შორის, ჩვენდა გასაოცრად, ამ ფესტივალის გამარჯვებულები გავხდით. იმ დღეს მივხვდით, რომ საერთო ინტერესი გვქონდა და მას მუსიკა ერქვა“, — ამბობს ლაშა ლორთქიფანიძე.

გასაოცარი კიდევ ის არის, რომ ჯგუფის არც ერთ წევრს პროფესიული მუსიკალური განათლება არ მიუღია. — აბა როგორ იმახსოვრებთ კომპოზიციას? ამ კითხვაზე ბიჭები იცინიან და შუბლზე იდებენ ხელს — „აქედან ვერ წაშლი! თუმცა, ხუმრობა იქით იყოს და ისინი უკვე სერიოზულად დაფიქრდნენ ამ საკითხზე და მომავალში აპირებენ მუსიკალური განათლება მიიღონ.

„მოყვარული მუსიკოსები ვართ, მაგრამ შეგნებული გვაქვს, რომ ამ ცოდნით წინ ვერ წავალთ. ერთ ადგილზე დგომას კი არ ვაპირებთ, ამ მხრივ განვითარება მართლაც საჭიროა, ამიტომ მუსიკალურ განათლებას აუცილებლად მივიღებთ, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალება მოგვეცემა“, — ამბობს ილია ჭუმბურიძე.

„ჩვენს მიერ შექმნილ მუსიკას ჯერჯერობით სახელი არა აქვს, ეს ექსპერიმენტული ჟანრია — ჯაზის, ფანქის, როკის ელემენტებით, ჩვენი მთავარი პრიორიტეტიც ეს არის, რომ არც საქართველოში და არც უცხოეთში ამის პრეცედენტი არ არსებობს. სიმართლე გითხრათ, ჯერ კომპეტენტური პროფესიონალის აზრი არ მოგვისმენია, მაგრამ ხალხმა მიგვიღო და შეგვიყვარა, ეს კი ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია“, — ამბობს გიორგი შარაშენიძე.

მას შემდეგ, რაც ბიჭები ჯერ ნახევარფინალში, შემდეგ კი ფინალში გადავიდნენ, თსუ-ის სტუდიაში „დასახლდნენ“. ამასობაში ახალი ინსტრუმენტებიც შექმნეს. მაგალითად, მეტალის და ხის ქსილოფონები, რომელიც მაღაზიაში 20500 ლარი ღირს, წყლის მილებით გაკეთებულ ინსტრუმენტს კი უბრალოდ, „ჯუჯიკა“ დაარქვეს და ნოტებიც თავად „დაასვეს“. „სტუდიიდან არ გავდივართ, აქ გვძინავს, აქ ვჭამთ, მეგობრები გვემდურებიან, ახლა მხოლოდ ტელევიზორში გხედავთო. თითოეულ ჩვენგანს საქმის უდიდესი სიყვარული აქვს. ალბათ, ეს არის ჩვენი წარმატების საიდუმლო“, — ამბობს სანდრო ნარსია.

„ნიჭიერი“ მათთვის იღბლიანი პროექტი აღმოჩნდა, რომ არ ელოდნენ, ისეთი. ჯგუფის წევრებმა ფინალში ახალი კომპოზიცია „ზაფხული“ შეასრულეს და ვანო ჯავახიშვილისგან ასეთი კომპლიმენტიც მიიღეს: ალბათ ბათუმში მიგინვევენ ამ ზაფხულს და მეც დამპატიჟეთო. შემდეგ კი პრიზების „ზღვა“ წამოვიდა: კომპანია „ჯეოსელმა“ „თსუ არტი“ ყველაზე ნოვატორულ და ნიჭიერ ჯგუფად დაასახელა და თავის რჩეულად გამოაცხადა, გარდა ამისა დუტა სხირტლაძემ თითოეულ მათგანს მეოთხე თაობის მობილურები გადასცა, რომელთა საშუალებით ანსამბლის წევრებს ერთი წლის განმავლობაში ერთმანეთთან უფასოდ საუბრის საშუალება ექნებათ. გაზეთმა „პრაიმ ტაიმის“ რედაქტორმა თაკო ფხაკაძემ კი ჯგუფს ერთი წლის მანძილზე საინფორმაციო მხარდაჭერა და პროდიუსერობა შესთავაზა. მაღაზია „ელიტ ელექტრონიქსმა“ პროექტ „ნიჭიერის“ ყველა გამარჯვებულს საჩუქრად ციფრული ფოტოაპარატები გადასცა, „საქართველოს ბანკმა“ კი პროექტის გამარჯვებულები 10 000 ლარით დააჯილდოვა.

სანამ ფინალი გაიმართებოდა, ბიჭები ხუმრობდნენ, იქნებ ლობიანიდან ხაჭაპურზე მაინც გადავიდეთო. ერთ დღეში კი ყველაფერი შეიცვალა — კარგად დასრულდა და კარგადაც გაგრძელდება, რადგან ბიჭები გაჩერებას არ აპირებენ.

55 წლის „სამედიცინო გაზეთი“ კვლავაც თანამედროვეა

პირველი გვერდიდან

მაია ტორაძე

„სამედიცინო გაზეთი“ 1957 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის დაარსებიდან 27-ე წელს ჟურნალისტ გივი ხვედელიძის ინიციატივით შექმნილა და თავდაპირველად კვირაში მხოლოდ ორი გვერდი გამოიცემოდა. მოგვიანებით მისი ფორმატი გაზრდილა, რადგანაც ინსტიტუტის მრავალმხრივი საქმიანობის წარმოსაჩენად ორი გვერდი საკმარისი აღარ ყოფილა... ასე დაწყებულა ამ გაზეთის შემოქმედებითი საქმიანობა და პროფესიული ზრდა, რასაც შემდგომი გაგრძელება გამოცდილი ჟურნალისტის, ქალბატონ მერი შველიძის რედაქტორობის პერიოდში მოჰყოლია. ის თითქმის 20 წელი ხელმძღვანელობდა „სამედიცინო გაზეთს“ და 800-მდე ნომერი გამოუშვა.

დღეს „სამედიცინო გაზეთი“ უკვე 8 გვერდიანია, თვეში ერთხელ გამოდის და ცდილობს, ყველგან იყოს, სადაც კი თვალი მიუწვდება, რათა სასწავლო დაწესებულებაში გამართული ყველა ღონისძიება და სიახლე ფურცლებზე გადაიტანოს.

გაზეთს ქალბატონი დალი გაბეშია ხელმძღვანელობს. მისი თანამშრომლებიდან კი უმეტესობა რედაქციაში სამუშაოდ მასთან ერთად, 1979—80 წლებში მივიდა და დღემდე იღვწის გაზეთის და ზოგადად, სამედიცინო სფეროს წარმატებისთვის.

არც გაგვკვირვებია, როცა გავიგეთ, რომ ისინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. ქალბატონ დალი გაბეშიასთან საუბარმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ უნივერსიტეტელობა ერთგვარი სიამაყეა და ამ კედლებიდან წაღებული მუხტი სხვა გარემოშიც შეიგრძნობა.

„ძალიან მიყვარს უნივერსიტეტი და ის კედლები, რომელშიც გავიზარდეთ. აქ სამუშაოდ ბატონმა დავით გამეზარდაშვილმა გამომიშვა. ეს იყო 1979 წელი, როცა სამედიცინო უნივერსიტეტს ბატონი კონსტანტინე ვირსალაძე ხელმძღვანელობდა. იგი გახლდათ ძალიან მკაცრი, მაგრამ უაღრესად პრინციპული ადამიანი და ამან შეგვიწყო ხელი, გვეზრუნა გაზეთის განვითარებაზე. მოსვლიდან 9 თვის შემდეგ რედაქტორად დავინიშნე. თითქმის ჩემთან ერთად დაიწყეს ჟურნალისტური საქმიანობა უნივერსიტეტელებმა — მანანა ფხალაძემ და დარეჯან კომლაძემ, ნატო ბოლქვაძე კი მოგვიანებით შემოგვიერთდა და ახალი ხედვით და სათქმელით გაზეთისთვის კარგ შენაძენად იქცა.

დავიწყეთ თუ არა, მაშინვე შევეცადეთ ჩვენი სათქმელი გვეთქვა, შევცვალეთ გაზეთის ჟანრობრივ-თემატური მხარე, დავამატეთ რუბრიკები, დავხვეწეთ სტილი. მიუხედავად კომუნისტური რეჟიმისა, არ ვერიდებოდით სხვადასხვა სახის რეპლიკებსა და სასწავლო პროცესში შესამჩნევი ხარვეზების გამომზეურებას. მაშინ გაკეთდა ჩვენი კვლევა სუბორდინატორთა პოლიკლინიკური პრაქტიკისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში არსებული დარღვევების შესახებ. ამ საკითხებს რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს სხდომები მიეძღვნა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ გაზეთის ძალა ყველამ დაინახა. მაშინ ეს მართლაც გმირობა იყო და რომ არა ბატონი კონსტანტინე ვირსალაძის თანადგომა, ძელზე გაკვრას ვერ გადავურჩებოდით. სწორედ ბატონმა კონსტანტინემ მისცა თავის მდივანს მითითება: „ჟურნალისტები არ ალოდინოთ, მოსვლისთანავე შემოუშვით ჩემთან“... ამან მართლაც, ფართო ასპარეზი გაგვიხსნა და ძალიან დიდხანს ჩვენ ერთერთი ყველაზე პრინციპული გამოცემა გახლდით სამედიცინო სფეროში“, — გვითხრა ქალბატონმა დალიმ.

„სამედიცინო გაზეთის“ არეალი ფართო გახლდათ. უნივერსიტეტის ცხოვრების გარდა, გაზეთში აისახებოდა რეგიონალურ სტაციონარებში არსებული მდგომარეობა, რედაქციაში იმართებოდა მრგვალი მაგიდა მთიან რეგიონებში მოღვაწე კურსდამთავრებულებთან, აწყობდნენ საქმიან შეხვედრებს სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან, მსჯელობდნენ სასწავლო პროცესებზე და იმ რეფორმებზე, რომელიც სამედიცინო სფეროში ტარდებოდა.

გაზეთის რუბრიკებზე თვალის გადავლებაც კი მიანიშნებს, რომ ჟურნალისტები სამედიცინო უნივერსიტეტის მემატიანეები არიან და მათი კალამი კიდევ ბევრ ისეთ სახეს და სახელს შემოინახავს, რომლითაც მომავალში იამაყებენ.

დღეს „სამედიცინო გაზეთი“ ისევ თანამედროვეობის კვალში დგას. ისევ აქტიურად იხილავს სამედიცინო რეფორმის პროცესს, ისევ აანალიზებს სასწავლო სამედიცინო რეფორმის შუქ-ჩრდილებს, აშუქებს მეცნიერთა წარმატებებსა და სტუდენტურ ცხოვრებას, ცდილობს მოიზიდოს სტუდენტთა ის ნაწილი, რომელიც დაინტერესებულია გაზეთთან ურთიერთობით. სხვათა შორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დღევანდელი რექტორი ზურაბ ვადაჭკორია ის ყოფილი სტუდენტია, რომელსაც „სამედიცინო გაზეთთან“ ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონია. ამ გაზეთის ფურცლებს შემოუნახავს ეგნატე ფიფიას, ალექსანდრე ბაკურაძის, ვახტანგ ალადაშვილის, შიო გუგეშაშვილის, ოთარ ღუდუშაურის, საულ კახიანის, თამარ დეკანოსიძის და სხვა უდიდესი მეცნიერების სახელები და სიტყვები. რედაქციის თანამშრომლები დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებენ ბევრ დიდ მეცნიერს და ამბობენ, რომ მარტო იმიტომ ღირდა ამ გაზეთში გაეტარებინათ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი, რომ ასეთ დიდ მეცნიერებთან ჰქონდათ ურთიერთობა.

იმ დღესაც როცა ჩვენ ვესტუმრეთ, ჩვენი კოლეგები გაზეთის ახალ ნომერს უტრიალებდნენ. ცოტა ხანიც და ექიმთა საზოგადოებას ახალი კურსდამთავრებულები შეუერთდებიან, უნივერსიტეტს კი — პირველკურსელები. გაზეთმა ყველაფერი უნდა დააფიქსიროს — მეექვსეკურსელებს ჰკითხოს — რა ცოდნა შეიძინეს უნივერსიტეტში და რომელი საგნები აღმოჩნდა მათთვის ძირითადი ცოდნის მიმცემი, პირველკურსელებს კი ისე უნდა მიანოდონ ინფორმაცია, რომ მათ ახალ სასწავლო გარემოში დამკვიდრება არ გაუჭირდეთ.

და ეს უკვე მერამდენედ.. ეს უკვე რამდენი წელია...

„კიდევ მანდ მუშაობთ?“ — ხშირად დაუსვამთ ჩვენთვის ეს კითხვა, — „ამდენი ხანი?“... დიახ, ამდენი ხანი, რადგანაც სიყვარულს დიდი ძალა აქვს და მას სამედიცინო უნივერსიტეტში ჩვენ ყველა ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობთ“, — გვითხრა ქალბატონმა დალი გაბეშიამ.

* * *

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ კიდევ ერთხელ ულოცავს „სამედიცინო გაზეთს“ იუბილეს და უსურვებს — წარმატებას, ნიჭიერ სტუდენტთა თაობებს და სამედიცინო საგანმანათლებლო სისტემაში კიდევ დიდხანს არსებობას...

ვისურვებდით, ჩვენც გვეკითხოს წლების შემდეგ: „კიდევ მანდ მუშაობთ?... ამდენი ხანი?

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, მარიამ გერსამია, თეა ჯუღელი	
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი	შოთა თუთბერიძე		
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		2 22 36 62